საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

№ 72-77 (5678)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიჩებით ბეჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

წიგნის მანიფესტი

ჯემალ კასრაძის ფოტო.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა წიგნის დღის მანიფესტი მიიღეს.

მანიფესტის გამოცემა 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

ამასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გამოფენა-გაყიდვა მიმდინარეობდა, რომელშიც სხვადასხვა გამომცემლობები მონაწილეობდნენ. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“, „დიოგენემ“, „ლოგოესპრესმა“, „ლიტერამ“, „შემეცნებამ“, წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსამ“ და „დიუმას ცენტრმა“ საზოგადოებას სხვადასხვა ასაკისთვის გათვალისწინებული წიგნები და სახელმძღვანელოები წარუდგინეს.

საზოგადოებას უძველესი ქართული წიგნების ნახვისა და დათვალიერების საშუალებაც მიეცა. გამოფენილი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უნიკალური, უძველესი ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნები. მათ შორის ყველაზე უძველესია 1484 წელს გამოცემული ინკუნაბულას „ცხოვრება წმინდა იერონიმესი“, აგრეთვე, 1629 წელს გამოცემული „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და მე-17-18-ე საუკუნეებში დაბეჭდილი სხვა წიგნები.

წიგნის გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის წევრები მიესალმნენ.

მათ მიიღეს მემორანდუმი, რომლის თანახმადაც ამიერიდან ეს დღე უნივერსიტეტის ეზოში სხვადასხვა აქციის ჩატარებით აღინიშნება.

მანიფესტის ავტორები მოუწოდებენ საზოგადოებას, შეიძინონ და აჩუქონ წიგნი ახლობელს, ნაცნობს, გულისწორს, თუნდაც უცნობ ადამიანს, საჩუქრად მიღებულ წიგნს კი წიგნის ჩუქებითვე უპასუხონ.

იუნესკოს მიერ წიგნის საერთაშორისო დღე 1995 წლიდან აღინიშნება. საქართველოში კი იგი მეექვსედ ტარდება. მანამდე ამ დღეს წიგნის გამოფენა-გაყიდვებით საჯარო ბიბლიოთეკასთან აღნიშნავდნენ.

ინტერპრესნიუსი

ოსებმა უნდა დაიბრუნონ

თავიანთი როლი საქართველოში

ნოღაიდელის ჯანმრთელობა სტაბილურია

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს გულზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ დამოუკიდებლად სიარული შეუძლია. ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრის პროტოკოლის უფროსმა გია ზურაბაშვილმა განაცხადა, რომელიც ჰიუსტონში იმყოფება.

მისივე თქმით, რეანიმაციის განყოფილებიდან ზურაბ ნოღაიდელი პალატაში გადაიყვანეს.

ექიმები საქართველოს პრემიერის კლინიკიდან გაწერას ერთ კვირაში გეგმავენ. გია ზურაბაშვილის განცხადებით, ნოღაიდელი თბილისში, დაახლოებით, 10 დღეში დაბრუნდება და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

ბრისტოლისა და თბილისის მერების შეხვედრა

თბილისის მერი გიგი უგულავა გუშინ დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლის მერს ლორდ პიტერ აბრაჰამს შეხვდა.

მხარეებმა ჯანმრთელობის, კულტურისა და ბიბლიოთეკების სფეროში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ლორდმა პიტერ აბრაჰამმა განაცხადა, თბილისი და ბრისტოლი ემზადებიან დაძმობილების 20 წლისთავის იუბილის აღსანიშნავად, რომელიც 2008 წელს გაიმართება.

თბილისის მერის გიგი უგუბლავას განცხადებით, მათ ასევე ისაუბრეს მუნიციპალური კავშირების ახალ სისტემაზე.

◎ მთელი ხმით

ესეც ვითომ პროტესტია?!

ჯავარ ლომაძის ფოტო.

გუშინ დილით, აი, ასე წაქცეულ-გადაყირავებული დაგვხვდა ძელსკამები „ალექსანდრეს“ ბაღში მოსეირნეთ!...

იგინება წოპე, ითათხება რამაზი, გაოცებულია ბონდო: ამას ხომ ერთი კაცი ვერ იზამდაო, ჩაკირულია სკამები, ამის მორყევას, 3-4 კაცი მაინც უნდოდაო, ნახეთ, ნახეთ, აგერ, ნარგავებიც მოუთხრიათო, არა ძმაო, ჩვენ ევროპელები კი არა, ველურები ვართო, ამის გამკეთებლები ხომ, ადამიანს, თვალისდაუხამხამებლად მოკლავენო, ამასაც ხომ უგულავას და სუგელიანს ვერ დავაბრალებთო, ვაი, ჩვენს პატრონს, სადამდის მივედითო, მავნებლობაა ეს, აბა, რალა ჯანდაბაარ, უნდა გამოიყვანო და დახვრიტო, ეგ დამპლებიო!..

თქვენ რას იტყვით, მკითხველო?!. ნუთუ, მართლა ისე გაბოროტდა ჩვენი ახალგაზრდობა (მათ „ივაჟკაცეს“, რა თქმა უნდა, მართლა ისე გადაგვარდა, რომ სულ აღარ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას?!

საით მივდივართ, საით მივექანებით, ჩემო ძვეყანავ!

ვილენ მარდალეიშვილი

სურათზე: გადაყირავებული ძელსკამი „ალექსანდრეს“ ბაღში.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გეგმას საქართველოს პარლამენტში მაისში შეიტანს, რათა გარდამავალი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბების პროცესი დროულად დაიწყოს

№ 72-77. სამშაბათი. 24 აპრილი. 2007 წელი.

◎ პრეზიდენტი

ოსებმა უნდა დაიბრუნონ თავიანთი როლი საქართველოში

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა წარმოადგინა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, დოკუმენტი ხუთი პუნქტისგან შედგება და მისი პირველი ნაწილი კონფლიქტის რეგიონში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას ითვალისწინებს.

– ჩვენ ვთავაზობთ ყველა ძალას, რომელიც ცხინვალის რეგიონში წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდა, ერთად ვიმუშაოთ კონფლიქტის საბოლოო მოგვარებაზე, საქართველოს შიგნით ეთნიკური ოსებისთვის მიცემული ავტონომიის ფარგლებში ყველა ურთიერთობის დარეგულირებაზე, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, გეგმის მიხედვით, გარდამავალი ადმინისტრაციული ერთეული საქართველოს მთავრობასთან ერთად მოლაპარაკების გზით რეგიონის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების წარმოდგენაზე, რეგიონის საბოლოო სტატუსის ჩამოყალიბებასა და სამშვიდობო პროცესის საბოლოო დარეგულირებაზე იმუშავებს.

– პირველ პუნქტში გათვალისწინებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელების არჩევა და მათი დანიშვნა საქართველოს შინაგან საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის მინისტრების მოადგილეებად, რომლებსაც საგანგებო მანდატი ექნებათ ამ ტერიტორიაზე, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, რეგიონის რეაბილიტაციისთვის ცენტრალური ხელისუფლება ფინანსურ პაკეტსაც გამოყოფს.

სააკაშვილი ეთნიკურ ოსებს სახელმწიფო მართვაში განსაკუთრებულ ადგილს სთავაზობს. მისი თქმით, ოსები საქართველოს ისტორიაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ.

– მინდა, რომ მათ დაიბრუნონ თავიანთი როლი და ფუნქცია, გევრად დიდი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მართვაში და ჰქონდეთ სრული თვითმმართველობა იქ, სადაც ცხოვრობენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში ადგილობრივი მოსახლეობის ნაცვლად უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სამხედრო სტრუქტურები არიან წარმოდგენილნი.

– ჩემი სურვილია, მათ რეალური ხმა დავუბრუნოთ, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გეგმას საქართველოს პარლამენტში მაისში შეიტანს, რათა გარდამავალი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბების პროცესი დროულად დაიწყოს.

ინტერპრესნიუსი

◎ საქართველო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე

კონფლიქტების მოგვარებაში დაგვეხმარება

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 65-ე „როუზ როსის“ სემინარის ერთ-ერთი სხდომა სახელმწიფო მინისტრის გია ბარამიძის მოხსენებით გაიხსნა.

მან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ რეფორმებზე, კონფლიქტების მოგვარებასა და იმ ამოცანებზე ილაპარაკა, რაც საქართველომ ნატოში გაწევრიანებისთვის უნდა განახორციელოს.

მისი თქმით, საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში ნატოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერა ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის. ამისთვის კი აუცილებლად მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებათა პროცესში, რუსეთის გვერდით, თანასწორუფლებიანად იყოს წარმოდგენილი ევროკავშირი, შეერთებული შტატები და ეუთო.

მომხსენებელთა შორის იყვნენ ეუთოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში როი რიკი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა.

სემინარის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების მოგვარება იყო. სწორედ ამიტომაც გაითვალისწინეს სემინარის ინიციატორებმა სამხრეთ ოსეთის ულიარებელი ხელისუფლების დე ფაქტო პრეზიდენტის დიმიტრი სანაკოევის თხოვნა. იგი სემინარზე მოიწვიეს.

„ცხინვალის რეგიონის საკითხს კარგად უნდა გადავხედოთ და განვიხილოთ. ჩემი დღევანდელი ვიზიტის მიზანიც ესაა. კმაყოფილი ვარ, რომ მოვიწვიეს. ეს ნიშნავს, რომ დიალოგი აქტიურ ფაზაში გადადის. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ნატოს თაობაზე. ეს ორგანიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას,– განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სანაკოევმა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დიმიტრი სანაკოევის მონაწილეობა ამ სემინარში კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის აწარმოოს დიალოგი, მზად არის ამ პრობლემების მოგვარებაში უფრო აქტიურად ჩართოს საერთაშორისო ორგანიზაციები და, რაც მთავარია, მზად არის მოაგვაროს ეს კონფლიქტი.

მოგეხსენებათ, არის მოსაზრება, რომ საქართველო ვერ გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, თუ ვერ მოაგვარებს კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუმცა, თუ დავეყრდნობით ნატოს გენერალური მდივნის განცხადებებს, კონფლიქტების მოუგვარებლობა ნატოში საქართველოს ინტეგრაციას ხელს არ შეუშლის. საქართველომ 2008 წელს შესაძლოა უკვე მიიღოს გაწევრიანების გეგმა.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარებაში, როგორც ცნობილია, ოფიციალურად გაერო და ეუთო მონაწილეობენ. ნატო კი ოფიციალურად ვერ იქნება ამ კონფლიქტების მოგვარების მონაწილე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ინტენსიური დიალოგის გეგმა სწორედ ამ კონფლიქტების მოგვარებაში ხელშეწყობას ითვალისწინებს. ეს კი უდავოდ, ბევრს ნიშნავს...

მზია გელენავა

◎ სასამართლო

ჩაკაბერია გაათავისუფლეს

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარლეების აფხაზური ადმინისტრაციის გამგეგელი ფრიდონ ჩაკაბერია გუშინ ქუთაისის საapელაციო სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

როგორც სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ მარინე იმერლიშვილმა განაცხადა, ჩაკაბერიასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და მას 5-წლიანი პიროგითი პატიმრობა მეესაჯა.

ინტერპრესნიუსი

◎ რეგიონი

გადადგეს პოლიციის უფროსი!

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსა და მამუკა გოგოლაშვილს შორის მომხდარ ინციდენტზე ახალი მემარჯვენეების გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განცხადება გააკეთა.

მამუკა ფანიაშვილი შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის უფროსის დავით ტაბუცაძის გადადგომას ითხოვს.

ფანიაშვილის მტკიცებით, გორში სამართალდამცავების მხრიდან დანაშაულებრივმა ძმედებებმა მას შემდეგ იმატა, რაც საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელად ტაბუცაძე დაინიშნა.

ახალი მემარჯვენეები ეჭვქვეშ აყენებენ პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გოგოლაძემ საკუთარი იარაღიდან თვითმკვლელობა სცადა. ისინი მომხდარის ობიექტურ გამოძიებას ითხოვენ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში მცხოვრებმა 36 წლის მამუკა გოგოლაშვილმა თვითმკვლელობა სცადა. იგი „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანით გორის ცენტრში მოძრაობდა, როდესაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და შესამოწმებლად ნარკოლოგიურ განყოფილებაში გადაჰყავდათ. სწორედ ამ დროს საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში სროლის ხმა გაისმა. გოგოლაშვილი თავის არეშია დაჭრილი და თბილისის მე-5 საავადმყოფოშია გადაყვანილი.

საკრებულოს თავმჯდომარე დაჯარიმეს

გორის რაიონულმა სასამართლომ გორის საკრებულოს თავმჯდომარეს მარლენ ნადირაძეს 2000 ლარის გადახდა დააკისრა. მარლენ ნადირაძემ აღნიშნული თანხა 30 დღეში უნდა გადაიხადოს.

გორის რაიონულ სასამართლოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მიმართეს. სალომე ვარდიაშვილის განცხადებით, მათ საკრებულოს თავმჯდომარისგან საჯარო ინფორმაცია მოითხოვეს, თუმცა ინფორმაცია ვერ მიიღეს და იძულებულები გახდნენ, სასამართლოსთვის მიემართათ.

სახალხო დამცველს კი, თავდაპირველად, შიდა ქართლში მოქმედი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ხელმძღვანელმა, ყოფილმა პარლამენტარმა ბადრი ნანეტაშვილმა მიმართა, რის შემდეგაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქმეზე მოკვლევა დაიწყეს და საჯარო ინფორმაციისთვის გორის რიონულ საკრებულოსაც მიმართეს.

ინტერპრესნიუსი

◎ იუბილე

კონიაკითაც უკვდავქმნილი

გუშინ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიხსნა დიდი ქართველი მათემატიკოსისა და მეცნიერების, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუტამისა და ისააკის (ამ ორგანიზაციების შესახებ ჩვენს მკითხველს „სრ“-ის 20 აპრილის ნომერში ვაუწყებთ ერთობლივი საერთაშორისო ფორუმი.

სხდომა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გია ხუბუამ. უცხოელ სტუმრებსა და სხვა შეკრებილთ მიესალნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე, ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან პროფესორი ნათია ჯოხაძე, სომეხი აკადემიკოსი ლენსერ აგალოვიანი.

სომეხმა სტუმარმა გვაცნობა, რომ მეზობელ ქვეყანაში სპეციალურად იუბილესათვის გამოუშვეს კონიაკი „ილია ვეკუა“ და კათედრაზე შემოდგა სასმელიანი კოხტა ბოთლი, რომელსაც დიდი მეცნიერის სურათიც ამშვენებდა...

ბატონი ილიას პოლონელმა მოწაფემ, აკადემიკოსმა ბოგდან ბოიარსკიმ მოხსენება წაიკითხა დაუვიწყარი მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

თამაზ ებანოიძე

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 43

13.04.2007წ.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა დამტკიცდეს ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი

ინფორმაცია

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ

„საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის № 1688-ს კანონის თანახმად, ქ. თბილისის ბიუჯეტში 2006 წლის 1 იანვრიდან აღარ ირიცხება მოგების გადასახადი, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტი 2005 წლის პარამეტრებთან შედარებით შემცირებული ოდენობით იქნა დაგეგმილი. ამასთან, რიგი პარამეტრების განხილვა – ანალიზის შედეგად წამოჭრილი პრობლემების და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დედაქალაქის წინაშე დასმული პრიორიტეტების მხედველობაში მიღებით შეიქმნა აუცილებლობა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გათვალისწინებული ყოფილიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი.

აღნიშნულის გათვალისწინებით „ქალაქ თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბერის №23-2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 320,000.0 ათასი ლარით. წლის განმავლობაში შემოსავლების გადაჭარბებით შესრულების მხედველობაში მიღებით ქ. თბილისის საკრებულოს მიერ ქ. თბილისის ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით საერთო ჯამში ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა გაიზარდა 151,900.0 ათასი ლარით, მათ შორის სადაგასახადო შემოსავლები 59,000.0 ათასი ლარით, კაპიტალური შემოსავლები 19,700.0 ათასი ლარით, ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 72,300.0 ათასი ლარით, წლის დასაწყისისათვის არსებული საბრუნავი საშუალებების ნაშთი 1,500.0 ათასი ლარით, შემცირდა არასაგადასახადო შემოსავლები 600.0 ათასი ლარით და საბოლოოდ შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსავლების გეგმამ შეადგინა 473,349.7 ათასი ლარი.

ქ. თბილისის 2006 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტშივეა ასახული დედაქალაქისათვის აუცილებელი და რიგი პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელთა დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი თანხებია მიმართული. დიდი წილი დაეთმო კაპიტალურ ხარჯებს, მაგ. როგორიცაა: გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნება და გაუმჯობესებისათვის ფასადების შეკეთების, ავარიული შენობების გამაგრება-აღდგენითი და სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები.

განხორციელდა თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაციის სამუშაოები (2006 წლის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 12,297.7 ათასი ლარი); დედაქალაქის საავტობუსო ტრანსპორტით უზრუნველყოფა – გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის დაბალპროცენტიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე. მიღებულია 3,100.0 ათასი ევრო. შეძენილია 26 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოგდან“-ის მარკის ავტობუსი. გარდა აღნიშნულისა, დამატებით გრანტის სახით გამოიყო 405.0 ათასი ევრო „დაფ“-ის მარკის ავტობუსების შესაძენად (შეძენილია 22 ერთეული „დაფ“-ის მარკის ავტობუსი). ამასთან, ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების თანხებით შეძენილია 57 ერთეული დაფის მარკის ავტობუსი, ხოლო იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის თანხით - 34 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოგდან“-ის მარკის ავტობუსი. სულ 2006 წელს საავტობუსო პარკი შეივსო 139 ერთეულით;

2006 წელს დიდი ინვესტიციები განხორციელდა ქალაქის დასუფთავების სფეროში. შეძენილ იქნა ახალი დასუფთავების მანქანები, გაიზარდა ქალაქის დასუფთავების სფეროში დასაქმებულთა ხელფასები და ა.შ.

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ დაფინანსება. ქ. თბილისის ბიუჯეტიდან 2006 წელს პროგრამის დასაფინანსებლად ფაქტიურად 13,786.5 ათასი ლარი დაიხარჯა. აქედან უშუალოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებაზე დაიხარჯა 13,084.1 ათასი ლარი;

ბიუჯეტში სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული იქნა 44,214.5 ათასი ლარი (წლიური დაზუსტებული მაჩვენებლებით). გასული წლის სექტემბრის თვიდან ბიუჯეტიდან ფინანსდება თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე დანამატი სტაჟის მიხედვით. სულ ქ. თბილისის ბიუჯეტიდან სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ფაქტიურად დაფინანსებულია 50,678.9 ათასი ლარი, განათლების ღონისძიებებისათვის - 17,620.6 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის- 14,821.7 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემოსავლების მატების პირობებში გაიზარდა ისეთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა:

გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები - 60,300.0 ათასი ლარით;

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია -11,130.0 ათასი ლარით;

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები -7,000.0 ათასი ლარით;

ფასადების შეკეთების სამუშაოები -10,950.0 ათასი ლარით;

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები – 15,000.0 ათასი ლარით;

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია – 3,100.0 ათასი ლარით;

ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიის დანამატი- 4,058.0 ათასი ლარით;

დაგვა - დასუფთავების ღონისძიებები – 20,200.0 ათასი ლარით;

საქალაქო საავტობუსო სტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა – 1,100.0 ათასი ლარით;

ავტობუსების შეძენის ხარჯები – 2,300.0 ათასი ლარით;

პედაგოგების ბუნებრივი აირის ხარჯის ასანაზღაურებელი ფინანსური დახმარება – 4,200.0 ათასი ლარით;

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია 3,100.0 ათასი ლარი (ამ მიზნით ბიუჯეტიდან, სულ ათვისებულია 6,198.8 ათასი ლარი);

ქ. თბილისის ბიუჯეტში 2006 წელს იქნა პირველად გათვალისწინებული, ბიუჯეტის დაზუსტებისას, სრულიად ახალი პროგრამები:

ა) „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისათვის“, რაზედაც რაიონული გამგეობებისა და საქალაქო სამსამსახურების მეშვეობით დასაქმდა 6000-მდე სტუდენტი და ბიუჯეტიდან გამოიყო 3,000.0 ათას ლარამდე;

ბ) „დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის ბიზნესისადმი დაინტერესებას და მეტი სამუშაო ადგილების გამოჩენას.

ამის გარდა, წლის განმავლობაში გაიზარდა ხარჯები ავარიული შენობების გამაგრებითი სამუშაოებისათვის, შინაგან საქმეთა სამართველოს ხარჯებისათვის, საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურისათვის, 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად და სხვა.

ქ. თბილისის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები:

ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების დაზუსტებული გეგმის 473,349.7 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 466,953.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98,6 %, აღსანიშნავია, რომ 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტიური შემოსავლები – 412,300.0 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში 54,653.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

შემოსავლების სახეების მიხედვით შესრულება შემდეგია:

I საგადასახადო შემოსავლები

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლების გეგმა 282,000.0 ათასი ლარი ფაქტიურად 304,583.6 ათასი ლარით შესრულდა, შესაბამისად გადაჭარბებამ 22,583.6 ათასი ლარი (108,0%) და მთლიანი შემოსავლების 65,2% შეადგინა. ამასთან, ზრდამ წინა წელთან შედარებით (2005 წლის ფაქტი მოგების გადასახადის გარეშე – 226,499.2 ათასი ლარი) 78,084.4 ათას ლარს მიაღწია.

2006 წელს მიღებული საგადასახადო შემოსავლების 76,4% (349,526.9 ათასი ლარი) მიღებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ხაზით, 21,8% (99,726.5 ათასი ლარი) – მსხვილგადამხდელთა ინსპექციაზე მოდის, ხოლო დარჩენილი 1,8% (8,330.2 ათასი ლარი) აქციზის გადამხდელთა ინსპექციაზე:



საშემოსავლო გადასახადი

საანგარიშო პერიოდში მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 256,894.5 ათასი ლარი (საგადასახადო შემოსავლების 84,3%) და ბიუჯეტით განსაზღვრული გეგმის (238,100.0 ათასი ლარი) 107,9% შეადგინა. მთლიანობაში გეგმის ზევით 18,794.5 ათასი ლარის შემოსავალია მიღებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის ფაქტი – 189,734.7 ათასი ლარი) ზრდამ 67,159.8 ათასი ლარი შეადგენა.

ქონების გადასახადი

2006 წლის 12 თვის პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 37,298.8 ათასი ლარის შემოსავალი (საგადასახადო შემოსავლების 12,2%), გეგმის 34,000.0 ათასი ლარის 109,7%. მთლიანობაში გეგმის გადაჭარბებამ 3,298.9 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 25,078.2 ათასი ლარი) 2006 წელს ბიუჯეტმა 12,220.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო. ქონების გადასახადიდან მიწის გადასახადის გეგმა შესრულებულია 142.5%-ით (გეგმა 7,500.0 ათასი ლარი, ფაქტი 10,685.0 ათასი ლარი).

სათამაშო ბიზნესის გადასახადი

საანგარიშო პერიოდში შემოსავლების სახით მიღებულია 9,033.0 ათასი ლარი, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით –673.3 ათასი ლარით ნაკლები (2005 წლის ფაქტი – 9,706.3 ათასი ლარი) და გეგმის (8,800.0 ათასი ლარის) 102,6%.

ობიექტების მიხედვით თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სამორინეებიდან ბიუჯეტში შესულია – 5,498.2 ათასი ლარი, ტოტალიზატორებიდან, ბინგოებიდან და ლოტოებიდან – 785.9 ათასი ლარი, სათამაშო აპარატებიდან – 2,535.8 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი – 213.1 ათასი ლარი ლატარიებზე, წამახალისებელ გათამაშებებზე, სისტემურ–ელექტრონულ თამაშობებზე და სხვა სახის ობიექტებზე ნაწილდება.



გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში სხვა საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტმა დამატებით 1,357.3 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

II არასაგადასახადო შემოსავლები

2006 წლის პერიოდში გეგმით განსაზღვრული 9,400.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 9,982.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ ბიუჯეტში დამატებით 582.9 ათასი ლარი შევიდა, რამაც გეგმის 106,2% შეადგინა.

ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულია 3,331.8 ათასი ლარის ფაქტიური შემოსავალი, რომელმაც გეგმის 3,068.0 ათასი ლარის 108,6% შეადგინა, შედეგად ბიუჯეტმა დამატებით 263.8 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

მშენებლობის დაწყების ნებართვის მოსაკრებელი

საანგარიშო პერიოდში, ფაქტიური შემოსავლის სახით ბიუჯეტის მიერ მიღებულ იქნა 1,712.1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმაზე (1,423.0 ათასი ლარი) 289.1 ათასი ლარით მეტია და ამასთან, ზრდამ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,526.2 ათასი ლარი შეადგინა (2005 წლის ფაქტი – 185.9 ათასი ლარი).

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის

ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,293.8 ათასი ლარი და გეგმის (1,350.0 ათასი ლარი) შესრულებას –56.2 ათასი ლარი დააკლდა (95,8%). აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის ფაქტი – 1,574.0 ათასი ლარი) ბიუჯეტში მიღებულია –280.2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი.

საერთო–სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებიდან საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებულია 3,526.3 ათასი ლარის შემოსავალი. **მოსაკრებლიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის** ბიუჯეტმა გეგმით გათვალისწინებული 80.0 ათასი ლარის ნაცვლად 75.7 ათასი ლარის ფაქტიური შემოსავალი მიიღო, ანუ 4,3 ათასი ლარით ნაკლები, ანუ შესრულებამ გეგმის 94,6% შეადგინა. მნიშვნელოვანია, რომ წინა წელთან შედარებით მატებამ 25.7 ათასი ლარი შეადგინა.

შეუსრულებელია **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან** მისაღები შემოსავლების გეგმა, სადაც 2006 წლის გეგმის (100.0 ათასი ლარი) ფაქტიურმა შესრულებამ 116.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც მცირედით (16.1 ათასი ლარით) ჩამოუვარდება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (132.7 ათასი ლარი).

გარდა ამისა, **სახელმწიფო ბაჟის** სახით, აღნიშნულ პერიოდში, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 4.3 ათასი ლარი, რაც გეგმაზე (15.0 ათასი ლარი) –10.7 ათასი ლარით ნაკლებია, და ამასთან –13.2 ათასი ლარით ჩამოუვარდება წინა წლის ფაქტიურ შემოსავალს (2005 წლის ფაქტი – 17.5 ათასი ლარი).

სახელმწიფო ქონების იჯარიდან საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,789.0 ათასი ლარი (გეგმის 1,980.0 ათასი ლარის 90,4%), მათ შორის: 1,659.4 ათასი ლარი მიღებულია ადგილობრივი მმართველობის განკარგულებაში არსებული სახელმწიფო ქონების იჯარიდან, ხოლო დარჩენილი 129.6 ათასი ლარი – რესპუბლიკური დაქვემდებარების ქონების იჯარაზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის ფაქტი – 1,117.2 ათასი ლარი) ზრდამ 671.8 ათასი ლარი შეადგინა.

2006 წელს **ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში არსებული ქონების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურუდიული პირისაგან მიღებული დივიდენდებიდან და წმინდა მოგების ნაწილიდან** ბიუჯეტში ჩარიცხულია 627.4 ათასი ლარის შემოსავალი, ანუ გეგმაზე (600.0 ათასი ლარი) 27.4 ათასი ლარით მეტი. ამასთან, 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (451.0 ათასი ლარი) წელს მიღწეულმა ზრდამ 176.4 ათასი ლარი შეადგინა.

ჯარიმებიდან და სანქციებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 2,203.0 ათასი ლარი შედგინა, რაც გეგმაზე (1,900.0 ათასი ლარი) 303.0 ათასი ლარით მეტია. გეგმის არსებული გადაჭარბება სრულად განაპირობა მიღებულმა შემოსავალმა ჯარიმებიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, საიდანაც აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტმა 1,968.2 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო, რაც ჯარიმებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 89,3%-ს შეადგენს. გამოსაყოფია, რომ 2005 წელთან შედარებით (674.4 ათასი ლარი) ზრდამ უკვე 1,293.8 ათას ლარს მიაღწია.

მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლების სახით 2006 წელს მიღებულია 1,276.2 ათასი ლარის შემოსავალი რაც გეგმაზე (1,132.0 ათასი ლარი) 144.2 ათასი ლარით მეტია, აღნიშნული შემოსავლები შემდეგნაირად ნაწილდება: განათლების სფეროში გაწეული მომსახურებიდან – 785.6 ათასი ლარი, კულტურის სფეროში მომსახურების გაწევიდან – 472.0 ათასი ლარი, საარქივო მომსახურების გაწევიდან – 15.9 ათასი ლარი და დარჩენილი 2.8 ათასი ლარი სხვა სახის მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

III კაპიტალური შემოსავლები

დედაქალაქში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესის გათვალისწინებით, მკვეთრი ზრდა აღინიშნა **კაპიტალის გაყიდვიდან** მიღებული შემოსავლების მხრივ, სადაც საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 44,930.0 ათასი ლარის შემოსავალი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2005 წლის ფაქტი – 11,875.9 ათასი ლარი) 33,054.1 ათასი ლარით აღემატება.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტების პრივატიზების შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 9,533.1 ათასი ლარი და კაპიტალის გაყიდვიდან მიღებული ერთობლივი შემოსავლების 21,2% შეადგინა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი მმართველობის განკარგულებაში არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულმა შემოავლებმა 22,660.4 ათასი ლარი შეადგინა, რომლის 56,6% (12,833.2 ათასი ლარი) ტროლეიბუსების დეპოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული ქონების გაყიდვაზე მოდის.

12,070.2 ათასი ლარია მიღებული ადგილობრივი მმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო მიწის გაყიდვიდან, რაც დაგეგმილზე (12,000.0 ათასი ლარი) –70.2 ათასი ლარით მეტია და მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის მაჩვენებლს (2005 წლის ფაქტი – 204.7 ათასი ლარი), რაც 11,865.5 ათას ლარს შეადგენს.

თავის მხრივ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო მიწაზე კერძო საკუთრების მინიჭების (გაყიდვის) შედეგად მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 366.8 ათასი ლარი, ანუ გეგმასთან (350.0 ათასი ლარი) შედარებით –16.8 ათასი ლარით მეტი, ამასთან გასულ წელთან შედარებით (2005 წლის ფაქტი – 608.7 ათასი ლარი) კლებამ –241.9 ათასი ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის გადასახდელები

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული **გადასახდელები** შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით განსაზღვრულია 473,349.7 ათასი ლარის ოდენობით, შესასრულებელ სამუშაოებზე ვალდებულება აღებულია 462,296.9 ათას ლარზე და საკასო შესრულებამ შეადგინა 460,123.5 ათასი ლარი, ანუ გეგმასთან შედარებით 13,226.2 ათასი ლარით და აღებულ ვალდებულებაზე 2,173.4 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის: საქალაქო ბიუჯეტის ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 413,913.7 ათას ლარს, აღებული ვალდებულება – 415,853.4 ათას ლარს, ანუ აღებულ ვალდებულებაზე 1,939.7 ათასი ლარით და გეგმასთან შედარებით 12,067.1 ათასი ლარით (დაზუსტებული გეგმა 425,980.8 ათასი ლარი) ნაკლები. რაიონული ბიუჯეტების ხარჯების წლიური დაზუსტებული გეგმის 47,368.9 ათასი ლარის საკასო შესრულება 46,209.9 ათასი ლარია, რაც გეგმასთან 1,160.0 ათასი ლარით და აღებულ ვალდებულებასთან (46,443.5 ათასი ლარი) შედარებით 233.6 ათასი ლარით ნაკლები.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიური ხარჯების დიდი ნაწილი საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯებს უჭირავს, მათ შორის კი კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯებს.



ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით **საერთო დანიშნულების სახელმწიფო** მომსახურების ხაზით დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 27,338.1 ათას ლარს, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით 23,658.7 ათასი ლარი, რაიონული ბიუჯეტებით – 3,679.5 ათასი ლარი, შესრულებამ სულ შეადგინა 26,260.7 ათასი ლარი, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით – 22,685.7 ათასი ლარი, რაიონული ბიუჯეტებით 3,575.0 ათასი ლარი.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით **თავდაცვის** ხარჯების გეგმა 130.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 128.7 ათასი ლარის ოდენობით, ამ ხარჯებში შედის დღეისათვის ლიკვიდირებული ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს და წყალში მაშველი სამსახურის ხარჯები.

საზოგადოებრივი წესრიგის ხარჯები 2006 წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 4,678.2 ათასი ლარი. მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე 3,155.2 ათასი ლარი, შ.ს მთავარი სამმართველოსათვის 1,523.0 ათასი ლარი. ფაქტიურად ეს ღონისძიებები დაფინანსდა შესაბამისად 3,125.8 ათასი ლარით და 1,522.9 ათასი ლარით. თავდაცვის და საზოგადოებრივი წესრიგის ხარჯები მთლიანად საქალაქო ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით **განათლების ხაზით** ხარჯები განისაზღვრა 21,280.5 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 20,377.9 ათასი ლარი. განათლების ხარჯები 2006 წლის განმავლობაში ძირითადად შეადგენდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯებს, რაც გათვალისწინებული იყო რაიონულ ბიუჯეტებში –14,503.3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 13,933.4 ათასი ლარი, ხოლო საქალაქო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები გეგმით შეადგენდა 6,777.4 ათასი ლარს და საკასო შესრულება 6,444.6 ათას ლარს, მათ შორის: საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯები – 5,144.3 ათას ლარს (გეგმა 5,396.9 ათასი ლარი) და განათლების მიზნობრივი პროგრამები – 1,300.3 ათას ლარს (გეგმა 1,380.4 ათასი ლარი)

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5,759.9 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 5,666.0 ათასი ლარით, მათ შორის სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამები –3,931.9 ათასი ლარით, საზოგადოებრივი პროგრამები – 1,129.5 ათასი ლარით. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯები მთლიანად საქალაქო ბიუჯეტიდან არის გაწეული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მეშვეობით.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, რომელიც გეგმით შეადგენდა 52,609.5 ათას ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 50,678.9 ათასი ლარით, საქალაქო ბიუჯეტით სოციალური ღონისძიებების გეგმა 42,206.5 ათასი ლარი დაფინანსდა 40,581.2 ათასი ლარით, მათ შორის სოციალური დაცვის პროგრამების დაზუსტებული გეგმა 5,460.2 ათასი ლარი დაფინანსდა 5,321.0 ათასი ლარით, რაიონული ბიუჯეტებით სოციალური დაცვის პროგრამების ხარჯები – 10,403.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 10,097.8 ათასი ლარით.



საბინაო კომუნალური მეურნეობის დარგში გაერთიანებული ქალაქის საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯების გეგმის – 328,289.4 ათასი ლარის საკასო შესრულებამ შეადგინა 320,034.5 ათასი ლარი, აქედან საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების ხარჯებია 78,911.6 ათასი ლარი (გეგმა 82,051.2 ათასი ლარი) და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები 241,122.9 ათასი ლარი (გეგმა – 246,238.1 ათასი ლარი). საქალაქო ბიუჯეტით საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა 311,492.5 ათასი ლარია, ხოლო საკასო შესრულება 303,337.3 ათასი ლარი, მათ შორის საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების საკასო ხარჯები 74,272.1 ათასი ლარი (გეგმა 77,369.0 ათასი ლარი) და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები –229,065.2 ათასი ლარი (გეგმა 234,123.5 ათასი ლარი), ხოლო რაიონული ბიუჯეტებით ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ხარჯები შეადგენს 4,639.6 ათას ლარს (გეგმა 4,682.3 ათასი ლარი) და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები –12,057.7 ათას ლარს (გეგმა 12,114.6 ათასი ლარი).



რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

კულტურის სფეროს ხარჯები გათვალისწინებულია განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ასიგნებებში, რომელიც გეგმით განისაზღვრა 10,314.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 10,231.7 ათასი ლარი. მათ შორის კულტურის დაწესებულებების ხარჯები – 7,129.0 ათასი ლარი და სხვა კულტურული ღონისძიებების – 1,833.1 ათასი ლარი და ახალგაზრდული საქმეთა ღონისძიებები – 1,269.4 ათასი ლარი.

სპორტის ხარჯები მოიცავს მთლიანად სპორტის საქალაქო სამსახურის დასაფინანსებელ ხარჯებს. ეს ხარჯები დაზუსტებული გეგმით შეადგენს 11,339.9 ათას ლარს და საკასო ხარჯმა შეადგინა 11,328.6 ათას ლარი, მათ შორის სპორტული დაწესებულებების ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 4,120.9 ათასი ლარს და სპორტული ღონისძიებების ხარჯების – 7,207.7 ათას ლარს.

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ხარჯებში გათვალისწინებული იყო მსოფლიო ბანკის თანადაფინანსების და ქალაქში საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მოწესრიგების სამუშაოების ხარჯები, გეგმით გათვალისწინებული 3,526.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,133.6 ათასი ლარით, რაც სულ საქალაქო ბიუჯეტის ხარჯებია.

სხვა მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან გეგმით შეადგენდა 8,082.9 ათას ლარს, აქედან საქალაქო ბიუჯეტით 6,096.7 ათას ლარს და რაიონული ბიუჯეტებით 1,986.3 ათას ლარს. საკასო შესრულებამ სულ შეადგინა 7,633.5 ათასი ლარი, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით 5,727.2 ათასი ლარი და რაიონული ბიუჯეტებით 1,906.4 ათასი ლარი.

ქ. თბილისის 2006 წლის საქალაქო ბიუჯეტის ხარჯების დაზუსტებული გეგმა 425,980.8 ათასი ლარი შესრულდა 413,913.7 ათას ლარით, ანუ აღებულ ვალდებულებაზე 1,939.7 ათასი ლარით (აღებული ვალდებულება – 415,853.4 ათას ლარი) და გეგმასთან შედარებით 12,067.1 ათასი ლარით ნაკლები.

საქალაქო ბიუჯეტით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების 22,685.8 ათასი ლარის ასიგნებებიდან, ქ. თბილისის საკრებულოს შესანახი ხარჯი – 2,662.6 ათასი ლარია (გეგმა – 2,969.6 ათასი ლარი), აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატების ხარჯები – 20,023.2 ათასი ლარია, ასიგნებები ცალკეული მხარჯავი სუბიექტების მიხედვით შემდეგია:

ქ. თბილსიის მერიის ადმინისტრაცია – 9,410.3 ათასი ლარი (გეგმა – 9,617.3 ათასი ლარი), მათ შორის შრომის ანაზღაურება -802.1 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები– 239.9 ათასი ლარი, მივლინების ხარჯები 191.0 ათასი ლარი (გეგმა 207.0 ათასი ლარი), ოფისის ხარჯი – 578.9 ათასი ლარი, კომუნალური მომსახურების ხარჯი -346.7 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 153.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 2,265.4 ათასი ლარი.

კაპიტალური ხარჯი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 4,530.5 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 4,435.3 ათასი ათასი ლარი. მათ შორის: ძირითადი საშუალებების შეძენა 168.7 ათასი ლარი და კაპიტალურიმა რემონტმის 4,266.7 ათასი ლარი. აქედან ხარჯები გაწეულია: ლიფტის შეკეთებისათვის 3.5 ათასი ლარი, მერიის შენობის შეკეთებისათვის 120.0 ათასი ლარი, შარტავას ქ. მდებარე შენობის მდგრადობის გამოკვლევისათვის- 30.0 ათასი ლარი, ამავე შენობის რეკონსტრუქციისათვის -3,605.8 ათასი ლარი,(შესრულებულია 1,924.3 ათასი ლარის სამუშაო. დებიტორული დავალიანება შეადგენს 1,681.5 ათასი ლარს); შარტავას შენობის გამაგრებითი სამუშაოებისათვის -7.3 ათასი ლარი; ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე შენობის შეკეთებისათვის - 500.0 ათასი ლარი.

საფინანსო საქალაქო სამსახურის აპარატის ხარჯები – 842.3 ათასი ლარი (გეგმა – 845.9 ათასი ლარი), ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის – 287.4 ათასი ლარი (გეგმა – 289.0 ათასი ლარი), კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცის - 449.4 ათასი ლარი (გეგმა-73.3 ათასი ლარი), ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის – 478.3 ათასი ლარი (გეგმა – 485.9 ათასი ლარი), განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის – 638.9 ათასი ლარი (გეგმა – 655.8 ათასი ლარი), ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის – 987.4 ათასი ლარი (გეგმა – 993.2 ათასი ლარი), სპორტის საქალაქო სამსახურის – 386.3 ათასი ლარი (გეგმა – 387.4 ათასი ლარი), ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის – 1,756.0 ათასი ლარი (გეგმა – 1,791.3 ათასი ლარი), ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის – 975.2 ათასი ლარი (გეგმა – 1,035.9 ათასი ლარი), საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსი – 371.5 ათასი ლარი (გეგმა – 396.7 ათასი ლარი), მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის – 300.6 ათასი ლარი (გეგმა – 304.2 ათასი ლარი), კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის – 1,364.8 ათასი ლარი (გეგმა – 1,526.1 ათასი ლარი), ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის – 495.1 ათასი ლარი (გეგმა – 495.1 ათასი ლარი), დასუფთავების საქალაქო სამსახურის – 491.1 ათასი ლარი (გეგმა – 550.0 ათასი ლარი), საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის – 386.1 ათასი ლარი (გეგმა – 420.7 ათასი ლარი). ამ ხარჯებში შედის უკვე ლიკვიდირებული სამსახურების ხარჯებიც: ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური – 173.0 ათასი ლარი (გეგმა – 173.1 ათასი ლარი) და საქალაქო საინფორმაციო სამსახური – 52.5 ათასი ლარი (გეგმა – 55.3 ათასი ლარი).

2006 წლის საქალაქო ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია:

განათლების ღონისძიებები - ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 2007 წლის ბიუჯეტი შეადგენს 17,747.7 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება -17,315.3 ათას ლარს, რომელიც მოიცავს საქალაქო სამსახურის მმართველობითი აპარატის, სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისა და განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის სფეროში განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამებისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებს, განათლების ხაზით ითვალისწინებს სკოლის გარეშე მუშაობისა და მიუსაფარ ბავშვთა დაწესებულებების, კულტურის ხაზით – კულტურის დაწესებულებებისა და ღონისძიებების დაფინანსების ხარჯებს.

სამსახურის აპარატის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 655.8 ათას ლარს, ხოლო შესრულება 638.9 ათასი ლარია, ანუ გეგმაზე 16.9 ათასი ლარით ნაკლებია.

განათლების ხაზით საქალაქო ბიუჯეტით 2006 წლის 1 იანვრიდან დაფინანსდა განათლების 15 დაწესებულება, მათ შორის 9 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 314 საშტატო ერთეულით; 3 მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი -131 საშტატო ერთეულით, წყნეთის ბავშვთა სახლი - 80 საშტატო ერთეულით, ე. ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეა – 23.5 საშტატო ერთეულით და საბავშვო სათამაშოების მუზეუმი – 7 საშტატო ერთეულით.

მოსწავლეთა ახალგაზრდობის სახლების 2006 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 331.9 ათას ლარს, ამ პერიოდისათვის აღნიშნულ დაწესებულებების დაფინანსება 318.9 ათასი ლარია, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე, დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით გაწეულია 215.1 ათასი ლარის ხარჯი, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე – 64.1 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე – 39.7 ათას ლარი.

მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო სახლების დაზუსტებული გეგმა 303.6 ათასი ლარია, შესრულება შეადგენს 385.9 ათას ლარს, ანუ გეგმაზე 17.7 ათასი ლარით ნაკლებს. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე გაწეულია 155.8 ათასი ლარის დაფინანსება, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე – 207.1 ათასი ლარი. მიუსაფარ ბავშვთა სახლებში ბავშვთა კვებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 118.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 115.8 ათასი ლარი. ბავშვთა კვების დაფინანსება ხდებოდა ბავშვთა გამტარიანობის მიხედვით. მიუსაფარ ბავშვთა სახლებზე 2006 წელს ბავშვთა კვების ნორმა განისაზღვრა 1 ბავშვზე დღეში 2 ლარი.

წყნეთის ბავშვთა სახლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 402.9 ათას ლარს, შესრულება 353.1 ათასი ლარია, რაც გეგმაზე 49.8 ათასი ლარით ნაკლებია. შრომის ანაზღაურების ხარჯები დამქირავებლიდან ანარიცხებთან ერთად დაფინანსებულია 99.4 ათასი ლარით, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულია 248.7 ათასი ლარის ხარჯი, მათ შორის კვებაზე – 107.5 ათასი ლარი. ბავშვთა კვების ნორმა განსაზღვრულია 1 ბავშვზე დღეში 2.20 ლარი.

საბავშვო სათამაშოების მუზეუმის დაზუსტებული გეგმა 9.7 ათასი ლარია, შესრულება შეადგენს 9.5 ათას ლარს, ხელფასის ფონდის დაფინანსებაზე გაწეულია 8.0 ათასი ლარის ხარჯი.

განათლების მიზნობრივი პროგრამებისათვის დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენდა 5,019.8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 4,769.5 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე 250.0 ათასი ლარით ნაკლები. საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და ამოქმედდა შემდეგი მიზნობრივი პროგრამები: მიუსაფარ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების, რიგი სოციალური საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამები.

მოზარდთა სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის მიზნით დაფინანსდა: ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების – „რწმენა“ და „რწმენა 1“ პროგრამა 30.0 ათასი ლარით; განხორციელდა სამთვიანი პროგრამა, რომელიც მიუსაფარი და სოციალურად დაუცველი ბავშვების კვებას, სამედიცინო მომსახურებასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ემსახურებოდა.

მოსწავლეებში და პედაგოგებში სწავლებისა და სწავლის მოტივაციის გაზრდის, მათში ემპირიული და მეცნიერულო კვლევის უნარების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ეროვნული მედია-პროექტი - „ეტალონი“, ტელეკომპანია „იმედისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი პროექტი, რომელიც მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებასა და წიგნისაკენ შემობრუნებას ისახავს მიზნად. ამ მიზნით ქალაქ თბილისის მერიის 15 სექტემბრის №181 განკარგულების საფუძველზე გადაცემა „ეტალონის“ თამაშში გამარჯვებული მოსწავლეების და მათი კლასის დამრიგებელთა სტიპენდიების დაფინანსებამ შეადგინა 4.5 ათასი ლარი. ეროვნულ გამოცდებში უნარჩვევების ტესტის ყველაზე მაღალი შეფასებისათვის გამარჯვებული სტუდენტების სტიპენდიები დაფინანსებულია 2.7 ათასი ლარით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის, სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ასევე ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ პირთათვის ხმოვანი წიგნების ჩაწერას, გახმოვანდა ნაწარმოებები, რაზეც დაიხარჯა 5.0 ათასი ლარი.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაცის პროცესების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდა სამსახურის დაკვეთითა და უშუალო მონაწილეობით. პროგრამის პარტნიორია ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“. პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლე-

ახალგაზრდობის სახლების რესტრუქტურიზაციას, მათ ბაზაზე თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სახელობო მომზადებისა და პროფორიენტაციის სისტემის შექმნას, მიუსაფარ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მომზადებას მათი შემდგომი დასაქმების მიზნით, ამ პროგრამაზე გაწეულია 7.7 ათასი ლარის დაფინანსება.

„ჯანსაღი ცხოვრების მარშრუტები“- პროგრამა განხორციელდა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მიუსაფარი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლის, ჯუმბერ ლეჟავას ხელმძღვანელობით, წინასწარ დაგეგმილ მარშრუტებზე ჩატარდა შემეცნებით-გამაჯანსაღებელი ლაშქრობები,რომელშიც სხვებთან ერთად მიუსაფარი ბავშვებიც მონაწილეობდნენ. აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა 6.0 ათასი ლარით.

ჩატარდა მოზარდთა ხელოვნების ალტერნატიული ფესტივალი „მზიური“, რომლის მიზანი იყო მოზარდი თაობის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაზეც გაწეულია 4.5 ათასი ლარის ხარჯი.

ზაფხულში ფუნქციონირებდა საზაფხულო შემეცნებით-გასართობი ბანაკები, რომლებიც გლდანის, ნაძალადევის, დიდუბისა და საბურთალოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ბაზაზე გაიხსნა და სოციალურად დაუცველ ბავშვთა დასვენებასა და გართობას ისახავდა მიზნად. აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა 37.9 ათასი ლარით.

პროგრამა „პირველკლასელთა უზრუნველყოფა სასკოლო სახელმღვანელოებით 2006 წლის განმავლობაში დაფინანსებულია 256.6 ათასი ლარით.

სასკოლო ფორმების შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულთა ჰონორარისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 17.7 ათასი ლარი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების პროგრამა დაფინანსებულია 578,2 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით შეძენილია სპორტული ინვენტარი 19.0 ათასი ლარის, მოსწავლის გულსაბნევები 37.5 ათასი ლარის. და სასკოლო დაფები, რაზედაც 2006 წლის აგვისტოს და ოქტომბრის თვეში გადარიცხულია შპს „ოქროს ხელებზე“ 519.7 ათასი ლარი.

2006 წელს პირველად განხორციელდა „პედაგოგების ბუნებრივი აირის ხარჯის ასანაზღაურებელი ფინანსური დახმარების პროგრამა“, რომელიც დაფინანსებულია 4029.8 ათასი ლარით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 40,0 ათასამდე პედაგოგსა და პროფესორ-მასწავლებელს, სპეციალურად ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს ბანკში გახსნილ ანგარიშებზე, ჩაერიცხათ 100-100 ლარი ბუნებრივი აირის ხარჯების გადასახდელად. სევე, განათლების ხაზით პირველად განხორციელდა პროგრამა „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისათვის. პროგრამის ფარგლებში მერიის სისტემის სხვადასხვა სამსახურებში დასაქმებულ სტუდენტთა საერთო რიცხვმა შეადგინა 6000-მდე. მათ საჩუქრად გადაეცათ სიმბოლიკიანი მაისურები და კეპები. სტუდენტთა ანაზღაურებამ შეადგინა 300-00 ლარი საბიუჯეტო გადასახადებით დაბეგვრის შემდეგ. ამ ღონისძიების ხარჯმა, ქ. თბილისის მერიის განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტიდან შეადგინა 249.7 ათასი ლარი. (პროგრამაში მონაწილე სტუდენტები დასაქმებულები იყვნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ბიბლიოთეკებში, ბავშვთა სახლებში).

კულტურის ღონისძიებები - 2006 წლის ბიუჯეტით განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის კულტურის ხარჯებისათვის გათვალისწინებული 10,314.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 10,231.8 ათასი ლარით, შესრულება 99%. წლის განმავლობაში დაფინანსებულია 31 სამუსიკო სკოლა 2560 საშტატო ერთეულით, 11 მუზეუმი 84 საშტატო ერთეულით, 9 თეატრი, ბიბლიოთეკების გაერთიანება, ბიგ-ბენდი და მუსიკალური-კულტურის ცენტრი. პანთეონები, ქალაქის ზოოპარკი, პარკი „მზიური“, სხვადასხვა სახის კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები.

სამუსიკო სკოლებისათვის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 3,469.0 ათას ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3,514.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 3,481.1 ათასი ლარი. შესრულება შეადგენს 99.1 %-ს. 2006 წელს სამუსიკო სკოლების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით მიმართულია 3,296.8 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე – 169.9 ათასი ლარი. აქედან კომუნალურ ხარჯებზე – 101.3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისათვის გახარჯულია 64.5 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი საშუალებების შესაძენად გაიწია ხარჯი 14.4 ათასი ლარის ოდენობით. 2007 წლის იანვრიდან სამუსიკო სკოლები დაფუძნდნენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად, როგორც ხელოვნების სკოლები.

მუზეუმებისათვის ხარჯი გაიწია 223.0 ათასი ლარის ოდენობით (დაზუსტებული გეგმა - 245.2 ათასი ლარი) მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე -102.7 ათასი ლარი,კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა 13.9 ათასი ლარი, ოფისის ხარჯმა - 17.3 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯებმა - 41.2 ათასი ლარი. აქედან 17.3 ათასი ლარი მოხმარდა სახელგანთქმული მეცნიერის აკადემიკოს კ. წერეთელის 85 წლის იუბილის ღონისძიებას. კაპიტალური ხარჯის 2006 წლის გეგმა 48.1 ათას ლარი, შესრულდა 47.8 ათასი ლარით. აქედან 20,0 ათასი ლარი დახარჯულია ი. ჭავჭავაძის მუზეუმში გათბობა-კონდენცირებაზე, მ. კოსტავას მემორიალურ მუზეუმში - შენობას გაუკეთდა დამცავი გისოსები,რაზეც დაიხარჯა 4,0 ათასი ლარი, ფალიაშვილის მუზეუმში ჩატარებულია შენობის კაპიტალური რემონტი - 9.8 ათასი ლარის. ამასთან მუზეუმებისათვის ძირითადი საშუალებების შეძენაზე დახარჯულია 14.0 ათასი ლარი.

მუნიციპალური თეატრებისათვის გათვალისწინებული იყო 1,207.6 ათასი ლარი, დაფინანსებულია 1,206.9 ათას ლარით, შესრულება 99.9%.

ბიბლიოთეკების ცენტრალური გაერთიანება, თბილისის საკონცერტო ორკესტრ „ბიგ-ბენდი, მუსიკალურ-კულტურული ცენტრი დაფინანსებულია შესაბამისად: 750.2 ათასი ლარის, 134.2 ათასი ლარის და 446.5 ათასი ლარის ოდენობით.

კულტურული პროგრამებისათვის დაზუსტებული 979.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 961.8 ათასი ლარით. შესრულება შეადგენს 98%-ს. მათ შორის:

2006 წელს პროგრამით “სახელმწიფო დღესასწაულები“ - დაფინანსებულია 458.4 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამის ფაგლებში განხორციელდა:

ა) საახალწლო ზეიმი **„უშგულელი თოვლის ბაბუა“** -საშობაო საახალწლო საჩუქრების შეძენა ბავშვებისათვის. 3-14 იანვარის ჩათვლით, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე მისულ ბავშვებს „უშგულელი თოვლის ბაბუას“ მიერ დაურიგდათ საახალწლო–საშობაო საჩუქრები. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 18.9 ათასი ლარი.

ბ) **3 მარტს დედის დღის აღსანიშნავად** ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიებები: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდის „იავნანა“ საქველმოქმედო კონცერტი, სპორტის სასახლეში ჯგუფის „ქუჩის ბიჭების“ კონცერტი. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 3.6 ათასი ლარი.

გ) „ფაშიზმზე **გამარჯვების დღე** „-რომლიც მოიცავს 5 ღონისძიებას: ხსოვნის საღამო „დიმილი მინდა“, სამამულო ომის ვეტერანთა შეხვედრა გამარჯვების პარკში, ევროპის დღის აღსანიშნავი გალა-კონცერტი რიყეზე და ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონის საზეიმო დახურვა. აღნიშნულ ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 42.8 ათასი ლარი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გაიმართა ქართული კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების ხსოვნის საღამო – „დიმილი მინდა“. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 3.5 ათასი ლარი. ფაშიზმზე გამარჯვების 61-ე წლისთავის აღსანიშნავად, სამეფო უბნის თეატრში დაიდგა იაპონელი კლასიკოსის იუკიო მისიმას პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“. სადადგმო ხარჯმა შეადგინა 19.9 ათასი ლარი და ა.შ.

დ) **„საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“** - რომელიც მოიცავს 5 ღონისძიებას თბილისის საკონცერტო ორკესტრისა და ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი, ბავშვთა ფოლკლორული კოლექტივის კონცერტი,სამხედრო აღლუმი, ვარდობის თვე თბილისში და მსვლელობა შიმშილის წინააღმდეგ. აღნიშნული ღონისძიება დაფინანსებულია 37.8 ათასი ლარით. ერეკლეს ქუჩაზე „არტ-ფართი ჯგუფის“ მიერ განხორციელდა ფესტივალი „ვარდობისთვე თბილისში“. ფესტივალზე გამოფენილი იყო თბილისის ბოტანიკურ ბაღში არსებული უნიკალური ჯიშის დეკორატიული ნარგავები, ვიზუალური და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები. მოეწყო კონკურსები ხელოვნების წარმომადგენლების სხვადასხვა დარგში.

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მოეწყო თბილისის ბიგ-ბენდის და ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი და თბილისის ბავშვთა ფოლკლორული კოლექტივის კონცერტი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ეგიდით, 22 მაისს ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გოგი დოლიძის სახელობის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი-ფესტივალი, რომელიც გაშუქდა ტელეკომპანიის „მზე“-ს პირდაპირი ეთერით;

ე) **„ფოლკლორის ფესტივალი“-** საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის №494 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისში 16 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ჩატარდა საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის „ფოლკლორის მხარდამჭერი ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში ფოლკლორის ფესტივალი. ჩატარებულ ღონისძიებაზე დაიხარჯა 30.1 ათასი ლარი;

ვ) **„თბილისობა -2006“-** ღონისძიებისთვის დახარჯულია 122.4 ათასი ლარი;

ზ) **„გიორგობის დღესასწაული“-** ღონისძიების ხარჯმა შეადგინადა 7.8 ათასი ლარი. გიორგობის დღესასწაულის ფარგლებში განხორციელდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის გახსნის ცერემონიალის მუსიკალური გაფორმება, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის გაწმენდა-დასუფთავების სამუშაოები;

თ) **„ახალი წლის**“ ღონისძიებებისათვის დახარჯულია 155.4 ათასი ლარი.

პროგრამით „გაცვლითი კულტურული პროგრამები ქალაქებს შორის“ განხორციელდა:

ა) „თბილისის დღეები სტამბულში“ 1-3 ივნისს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში გაიმართა თბილისის კულტურული დღეები. პროგრამის ფარგლებში მოეწყო გამოფენები, მათ შორის ნაციონალური თოჯონების, ქართული ტრადიციული და თანამედროვე ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ტურისტული სარეკლამო-საინფორმაციო ნაწარმის, მოძრავი ექსპოზიცია „საქართველო-თურქეთის ურთიერთობები“, გაიმართა კონცერტები: ანსამბლი „ერისიონი“, საქართველოს სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძის, მომღერალ ეკა მამალაძის პიანისტის, ვალერიან

→

№ 72-77. სამშაბათი. 24 აპრილი. 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

შიუკაშვილის, კვარტეტი „ფორტე“-ს, ანსამბლი „ქართული ხმები“-ს და თურქეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლების მონაწილეობით; კოსტიუმირებული მსვლელობით ქუჩაში, ქართული ნაციონალური სამზარეულოს და ღვინის პრეზენტაცია. "თითების თეატრის" და „მოძრაობის თეატრის“ წარმოდგენები და ქართული ნაციონალური კუთხე. ღონისძიებისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ღონისძიების ხარჯმა შეადგინა სულ 138.9 ათასი ლარი.

ბ) „სტამბოლის დღეები თბილისში“ - 15-24 სექტემბრამდე გაიმართა თბილისში სტამბოლის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: ანსამბლ „ანატოლიის ცეცხლის „კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, თურქული მუსიკის საზოგადოების „მეშთერის „კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზის წინ და აბანოთუბანში, პიანისტ თოროს ჯანის კონცერტი ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, აჰმეთ ოზმანის კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და თურქული ესტრადის ვარსკვლავის მუსტაფა სანდალის კონცერტი რიყეზე. აგრეთვე გაიმართა თურქული ხელოვნების გამოფენები: ისტორიის მუზეუმში ქარვასლა“, ტმს ჯგუფის საგამოფენო დარბაზში და საგამოფენო დარბაზში „კოპალა“. ჩატარებულ ღონისძიებაზე დაიხარჯა 141.7 ათასი ლარი.

ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე 14-23 ივლისს ჩატარდა „ფესტივალი არტ-გენი-2006“. რისთვისაც დაიხარჯა 20,0 ათასი ლარი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მაცაცო სებისკვერიძის საავტორო კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა, აღნიშნული პროგრამის ხარჯები დაფინანსებულია 13.5 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი საღამოსადმი მიძღვნილი კონცერტის ორგანიზების და დარბაზის იჯარის მომსახურების თანხას.

ახალგაზრგული პროგრამები დაფინანსდა 1270.0 ათასი ლარით. მათ შორის:

საქალაქო სამსახურმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელა 2 პროგრამა:

1) ახალგაზრდული ბანაკი საველე პირობებში „პატრიოტი“
2) პროგრამა „საჩუქარი ბავშვებს“.

პროგრამა „პატრიოტი“ ითვალისწინებდა ახალგაზრდული ბანაკების მოწყობას საველე პირობებში, პროგრამაში მონაწილეობდა 30000-მდე ახალგაზრდა ქვეყნის მასშტაბით, ასაკით 16-22 წელი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, ისე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. პროგრამა განხორციელდა 7 ოქტომბრამდე. განთავსებული იყო 7 ბანაკი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ქალაქებში: საგარეჯო (თოხლიაური), ლაგოდეხი, ხელვაჩაურის რაიონი, სქური (სამეგრელო), ბაზალეთი, ვარციხე, ბორჯომი, მონაწილეებს გადაეცათ მაისური, ჟილეტი და კეპი სიმბოლიკებით. ღონისძიებაზე მიმდინარე პერიოდისათვის დაიხარჯა 989.5ათ. ლარი,2006 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული კრედიტორული დავალიანება, 229.3 ათ.ლარი შპს „მარიამის“ მიერ მოწოდებული ფორმების კომპლექტისათვის დაფარულია 2006 წლის 8 დეკემბერს.

პროგრამა „საჩუქარი ბავშვებს„ ითვალისწინებდა ერთდღიან ექსკურსიას ბორჯომში, უფასო ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილამდე, ბორჯომის პარკში ატრაქციონებზე გართობას და ერთჯერად კვებას. პროგრამა მიმდინარეობდა 1 ივნისიდან 30 სექტემბრამდე. აღნიშნული პროგრამა განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დაპარტამენთან ერთობლივად. ხარჯები 279.9 ათასი ლარის ოდენობით.

კულტურის ხაზით სრულად არის დაფინანსებული ზოოლოგიური პარკი (1000.0 ათასი ლარი), პარკი „მზიური“ (70.0 ათასი ლარი), სახელოვნებო სკოლები (424.9 ათასი ლარი), ფესტივალი საჩუქარი (99.9 ათასი ლარი), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (70.0 ათასი ლარი). ამასთან წლის განმავლობასი გამოყოფილია თანხები პანთეონებისათვის 68.0 ათასი ლარი, ათვისებულია 63.7 ათასი ლარი, კაპიტალურ ხარჯებით ჩატარდა საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის კეთილმოწყობის სამუშაოები 5.8 ათასი ლარის და 10.0 ათასი ლარი მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა და დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში სხვადასხვა წერტილების შეკეთებისათვის, აღდგენილ იქნა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლი და სხვა.

კულტურის ღონისძიებებისა და პროგრამების ხარჯები

(ათას ლარებში)

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
07.03.00	[illegible]	10314.6	10231.8	99.2
07.03.01	[illegible]	3514.4	3461.1	99.1
07.03.02	[illegible]	243.2	223.0	91.0
07.03.03	[illegible]	1207.6	1206.9	99.9
07.03.04	[illegible]	750.4	750.2	100.0
07.03.05	[illegible]	134.2	134.2	100.0
07.03.06	[illegible]	450.0	446.8	99.2
07.03.07	[illegible]	979.8	961.8	98.2
07.03.07.01	[illegible]	475.0	458.4	96.5
07.03.07.02	[illegible]	306.3	304.9	99.5
07.03.07.03	[illegible]	165.0	165.0	100.0
07.03.07.04	[illegible]	20.0	20.0	100.0
07.03.07.05	[illegible]	13.5	13.5	100.0
07.03.08	[illegible]	1270.0	1269.5	100.0
07.03.08.01	[illegible]	990.0	989.6	100.0
07.03.08.02	[illegible]	280.0	279.9	100.0
07.03.09	[illegible]	1000.0	1000.0	100.0
07.03.10	[illegible]	70.0	70.0	100.0
07.03.11	[illegible]	68.0	63.7	93.7
07.03.12	[illegible]	425.0	424.9	100.0
07.03.13	[illegible]	100.0	99.9	99.9
07.03.14	[illegible]	70.0	70.0	100.0
[illegible]	[illegible]	30.0	30.0	100.0

ამასთან, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელდა სკოლებისა და სასწავლებლების ინტეგრაცია, რის გამოც გაუქმდა სამუსიკო სასწავლებლები და მათ ბაზაზე შეიქმნა სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება თბილისის სამუსიკო კოლეჯი, რომელიც აღარ იმყოფება ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსებაზე.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 7,125.7 ათასი ლარს, დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12,213.4 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11,974.4 ათასი ლარი. მათ შორის: სამსახურის აპარატის ხარჯებია 987.4 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (993.2 ათასი ლარი) 99.4 %-ია, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების საკასო შესრულება – 5,666.0 ათასი ლარია, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის (5,759.9 ათასი ლარი) 98.4%-ია, სოციალური პროგრამების – 5,321.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის (5,460.2 ათასი ლარი) 97.5%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 5,185.0 ათასი ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5,759.9 ათასი ლარი, მათ შორის სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამების – 4,003.0 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების – 1,134.0 ათასი ლარი.

სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამების მიხედვით ვალდებულებები წარმოდგენილია 3,931.9 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 3,931.9 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (4,003.0 ათასი ლარი) 98 %-ია;

მთლიანად დაფინანსდა ჯანდაცვითი პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი:

„უმწეოთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა“ (3,000.0 ათასი ლარი), დაფინანსება გაწეულია სამედიცინო დახმარების ხარჯების ასანაზღაურებლად შემდეგ კატეგორიებზე: 4221 - II მსოფლიო ომის მონაწილეზე, 11432- მარჩენალდაკარგულზე, 361- დედ-მამით ობოლზე, 2542- I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე, 1390- მრავალშვილიან დედაზე, 2048- ბაგა-ბაღის აღმზრდელზე, 1251- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ I და II ჯგუფის ინვალიდებზე და სხვა;

„სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის საწვავით მომარაგების პროგრამა“ (736.0 ათასი ლარი), ხარჯები გაწეულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებისათვის საწვავის შესაძენად;

„ომის ვეტერანთა სტომატოლოგიური დახმარების პროგრამა“ (18.0 ათასი ლარი); ხარჯები გაწეული იქნა ომისა და შეიარაღებული ძალების I და II ჯგუფის 74 ინვალიდის სტომატოლოგიურ მომსახურებაზე;

„მსხვილ სისხლძარღვთა ქირურგიული მკურნალობის პროგრამა“, რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 12.0 ათას ლარს, შესრულდა 11.8 ათასი ლარით;

„9 აპრილს დაზარალებულთა დისპანსერული შემოწმების პროგრამა“, დაფინანსებულია 8.0 ათასი ლარით; სამედიცინო დისპანსერული მომსახურება გაეწია 9 აპრილს დაზარალებულ 800 ადამიანს;

„სარეკრიაციო ზონების სანიტარული ნორმების კვლევის პროგრამა“, რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 20.0 ათას ლარს, შესრულდა

19.9 ათასი ლარით; პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წყლის ხარისხის სრულყოფილი მიკრობიოლოგიური კვლევა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების მიხედვით ვალდებულებები წარმოდგენილია 1,129.5 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 1,129.5 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (1,134.0 ათასი ლარი) 99 %-ია. მათ შორის: „გადამდებ დაავადებათა კერებში ეპიდემიოლოგიური მოკვლევის, დეზდამუშავების და პრევენციული ღონისძიებების პროგრამა“,რომლის დაზუსტებული გეგმაც შეადგენდა 600.0 ათას ლარს, შესრულდა 596.2 ათასი ლარით, „თბილისის მოსახლეობაში ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის (პრევენციის) პროგრამა“, რომლის გეგმაც შეადგენდა 400.0 ათას ლარს, შესრულდა 399.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მთლიანად დაფინანსდა „პარაზიტულ დაავადებათა კომპლექსურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებათა პროგრამა“ (31.0 ათასი ლარი).

სოციალური დაცვის პროგრამების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 1,022.0 ათას ლარს, რაც „ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 27 ივნისის №17.02.314 დადგენილებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის №8-35 გადაწყვეტილების და ასიგნებების შიდა გადანაწილების საფუძველზე დაზუსტდა და განისაზღვრა 5,460.2 ათასი ლარით, მათ შორის დაემატა, ისეთი პროგრამები, როგორიცაა: „ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიის დანამატის“- 4,000.0 ათასი ლარი და „საზაფხულო სამუშაო სტუდენტებისათვის“- 246.0 ათასი ლარი, ქ. თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო ფინანსური დახმარება „ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების კავშირისათვის“- 19.6 ათასი ლარი და გულის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის – 3.5 ათასი ლარის ოდენობით.

სოციალური დაცვის პროგრამების მიხედვით ვალდებულება წარმოდგენილია 5,321.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო ხარჯმა შეადგინა 5,321.0 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (5,460.2 ათასი ლარი) 97 %-ია. ძირითადი პროგრამები დაფინანსდა შემდეგნაირად:

„სოციალურად დაუცველ ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა“ – 33.0 ათასი ლარით; ქ. თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 60 მოზარდს საზოგადოებაში ადაპტაციის მიზნით ჩაუტარდათ ლითონის მხატვრული ჭედურობის, იკონოგრაფიის, მხატვრული კერამიკის შემსწავლელი გაკვეთილები;

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა ოჯახების დახმარების პროგრამა“ – 140.7 ათასი ლარით, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (150.0 ათასი ლარი) 94%-ია; ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 935 ოჯახს. ყოველ გარდაცვლილ წევრზე გასაწემი თანხა შეადგენს 150 ლარს,ოჯახში ორი გარდაცვლილის შემთხვევაში- 300 ლარს;

„ქუჩის ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა“ – 299.7 ათასი ლარით, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (350.0 ათასი ლარი) 86%-ია; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 192 - მზრუნველობას მოკლებული, უპატრონოდ დარჩენილი, მაწანწალა, ძნელად აღსაზრდელი, ასევე სხვადასხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებული და სასჯელმოხდილი არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული დახმარება, საკვებითა და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა;

„ინვალიდ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა სამკურნალო-საკურორტო რებილიტაციის პროგრამა“ – 199.9 ათასი ლარით, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (200.0 ათასი ლარი) 99%-ია;

„მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ – 124.7 ათასი ლარით, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (140.0 ათასი ლარი) 89%-ია; ქ. თბილისში რეგისტრირებულ მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი შვილი და 2006 წლის 1 იანვრის შემდეგ შეეძინათ შესაბამისად მე-4, მე-5 და მეტი შვილი გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება 260 მრავალშვილიან ოჯახს. (მე-4 შვილის დაბადებისათვის გაიცემა 300 ლარი, მე-5 შვილზე – 600 ლარი);

„ქ.თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიის დანამატი“ – 4,011.4 ათასი ლარით, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (4,058.0 ათასი ლარი) 99%-ია; სამუშაო სტაჟის მიხედვით პენსიაზე დანამატი გაცემული იქნა ქ. თბილისში მცხოვრებ 0-5 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე- 2 ლარი, 5-15 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე- 3 ლარი, 15-25 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე – 7 ლარი, 25-ზე მეტი ან ტოლი სტაჟის მქონე პენსიონერებზე – 10 ლარი.

სოციალური პროგრამების ფარგლებში 100 წელს მიღწეულ 31 მოქალაქეს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება 16.5 ათასი ლარი, თითოეულს 300 ლარის ოდენობით, ჰემოფილიით დაავადებულ 26 ბავშვს გაეწია სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება – 19.6 ათასი ლარის ოდენობით, სტუდენტ-ახალგაზრდობაში შრომის პოპულარიზაციის, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა ინსტიტუტის 591 სტუდენტს სამედიცინო დაწესებულებების დასუფთავების, პაციენტების მოვლა-მზრუნველობისათვის მიეცათ სახელფასო ანაზღაურება – 241.8 ათასი ლარი;

დამატებით გამოყოფილი იქნა ასიგნებები 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისათვის და მთლიანად დაიფარა წინა პერიოდში შესრულებული და აუნაზღაურებელი სამუშაოები – 592.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შემდეგი პროგრამების მიხედვით: გულის თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის პროგრამა- 393.0 ათასი ლარი, ურგენტული ამბულატორიული (ტრამვა) პროგრამა – 21.9 ათასი ლარი, მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის პროგრამა- 154.3 ათასი ლარი, უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამა – 21.2 ათასი ლარი, პროგრამის მართვისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის ხარჯები- 2.5 ათასი ლარი.

სამსახურს 2007 წლის 1 იანვრისათვის კრედიტორული დავალიანება ერიცხება 5,888.4 ათასი ლარი, მათ შორის 2006 წლის დავალიანება შეადგენს 16.7 ათას ლარს.

ქ. თბილისის მერიის **სპორტის საქალაქო სამსახურის** 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 8,314.4 ათას ლარს. მათ შორის: აპარატისათვის – 307.4 ათასი ლარი, სპორტული სკოლების, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორტული ცენტრებისათვის – 4,107.0 ათასი ლარი, ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებებისათვის – 800.0 ათასი ლარი, მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისათვის – 3,100.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების პროცესში დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 11,727.4 ათასი ლარი. დამტკიცებულთან შედარებით გეგმა გაიზარდა 3,413.0 ათასი ლარით. ფაქტიურმა დაფინანსებამ სულ შეადგინა 11,715.0 ათასი ლარი. ე.ი. დაზუსტებული ბიუჯეტის მიმართ 99.9%-ი. მათ შორის: სამსახურის აპარატის დაზუსტებული გეგმა 387.4 ათას ლარი, დაფინანდა – 386.3 ათას ლარით. აქედან მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით მიმართულია 267.0 ათასი ლარი. სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე – 44.2 ათასი ლარი. აქედან ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები – 23.2 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯები – 15.2 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯები – 75.0 ათასი ლარი მიმართული იქნა ავტომანქანის შესაძენად – 33.5 ათასი ლარი, კოდორის ხეობაში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში აქტიური ჩამბისათვის აუცილებელი სპორტული ინვენტარის შესაძენად – 32.0 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკა – 6.1 ათასი ლარი და სხვა.

მართვის ერთიანი სისტემის დანერგვისა და ოპტიმიზაციის მიზნით სამსახურში განხორციელებული რიგი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, სპორტული სკოლები გადაკეთდნენ ოლიმპიური მზადების, სპეციალიზირებულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრებად. ოპტიმიზაციის შედეგად შეიქმნა 28 ოლიმპიური მზადების, სპეციალიზირებული და სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრი (ნაცვლად 38 სპორტული სკოლისა). წინა წელთან შედარებით საშტატო ერთეულთა რაოდენობა შემცირდა 199 ერთეულით.

სპორტული სკოლების, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორტული ცენტრების წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4,129.0 ათას ლარს, დამტკიცებულთან შედარებით გეგმა გაზრდილია 22.0 ათასი ლარით. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 4,121.0 ათასი ლარი, ე.ი. დაზუსტებული ბიუჯეტის მიმართ 99.8%-ი.

2006 წელს სპორტული სკოლების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, დამქირავებლიდან ანარიცხებთან ერთად დაფინანსებულია 2,048.9 ათასი ლარით. მოხმარებული ელ-ენერგიის ხარჯმა შეადგინა 147.5 ათასი ლარი, წყლის 242.0 ათასი ლარი, გათბობის 240.5 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის 6.8 ათასი ლარი, სულ კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 636.8 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმით 639.9 ათასი ლარი). სხვადასხვა ხარჯები (სემინარები, ტურნირები, სპორტული შეჯიბრებები) დაფინანსებულია 547.8 ათასი ლარით, რაც დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 0.8 ათასი ლარით ნაკლებია.

სპორტული სკოლების კაპიტალური შეკეთებისათვის 2006 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 797.4 ათასი ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 796.7 ათასი ლარი (კაპიტალური რემონტი, სახურავების, შიდა და გარე წყალკანალიზაციის ქსელების აღდგენა), კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა 7 ობიექტზე. მათ შორის: გ. კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი – 164.8 ათასი ლარი (გეგმით – 165.0 ათასი ლარი); გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრი – 43.5 ათასი ლარი (43.7 ათასი ლარი); ოლიმპიური მზადების ცენტრი „სანაპირო“ – 144.6 ათასი ლარი (145.0 ათასი ლარი); ჩოგბურთის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი – 79.4 ათასი ლარი (79.4 ათასი ლარი); წყალთა სახეობის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი – 108.9 ათასი ლარი (108.9 ათასი ლარი); სპორტის სახეობათა სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი „ავიამშენი“ – 50.0 ათასი ლარი (50.0 ათასი ლარი); მ.კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების ცენტრი – 196.6 ათასი ლარი (196.7 ათასი ლარი);

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციისათვის გეგმით გათვალისწინებული 6,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,198.8 ათასი ლარით. ქ.თბილისში მოეწყო 3 კალათბურთის მოედანი, 123 ხელოვნურ საფარიანი ფეხბურთის მოედანი, რომელზეც დაიგო 58.283 მ2 მწვანე საფარი, 1 მოედანზე კი შეკეთდა მესერი.

ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებების გეგმა 800.0 ათასი ლარი მერის სარეზერვო ფონდიდან გაიზარდა 130.0 ათასი ლარით და დაზუსტებული გეგმა შეადგენს 930.0 ათას ლარს. ფაქტიური დაფინანსება – 929.6

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

ათასი ლარი. შესრულება – 99.9%-ი. 2006 წელს სპორტის საქალაქო სამსახურმა ჩაატარა 26 ქალაქის პირველობა, 8 ქალაქის ჩემპიონატი, 3 ქ.თბილისის მერიის თასი, 39 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 31 მივლინება, 1 მასობრივი ღონისძიება (სპარტაკიადა), 1 ღია მემორიალი, 5 სახელობითი ტურნირი, რომელზეც დაიხარჯა – 790.9 ათასი ლარი. სპორტული ღონისძიებებიდან ფინანსური დახმარებები გაეწიათ ძიუდოს ფედერაციას – 50.4 ათასი ლარი, ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლას 20.0 ათასი ლარი და ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას – 20.0 ათასი ლარი. აგრეთვე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი, დიპლომები, მედლები, ქუჩის ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის დაიბეჭდა სარეკლამო ფლაიერები, პრეზიდენტის თასის გათამაშებაზე ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულთათვის წამახალისებელი ჯილდოები, დარბაზით მომსახურება, რომელზეც დაიხარჯა 48.3 ათასი ლარი.

2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით **ურბანული დაგეგმარების** საქალაქო სამსახურზე გათვალისწინებული იყო 1,410.4 ათასი ლარი. მათ შორის აპარატის შენახვაზე 1,035.9 ათასი ლარი და ურბანული დაგეგმარების სამუშაოებზე 374.5 ათასი ლარი, ფაქტიური დაფინანსება შესაბამისად შეადგენს 975.2 ათას ლარს და 308.4 ათას ლარს. მუშა- მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაფინანსდა – 569.2 ათასი ლარით, დამქირავებლიდან ანარიცხები – 113.8 ლარი. სხვა საქონელი და მომსახურება – 123.1 ათასი ლარით, მათ შორის ოფისის ხარჯები – 58.2 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯები – 35.1 ათასი ლარი, ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები – 24.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 5.8 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯები -169.2 ათასი ლარი მთლიანად მიმართულია ძირითადი საშუალებების შეძენაზე.

ურბანული დაგეგმარების სამუშოებიდან ფაქტიურად დაფინანსდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის მიწის ნაკვეთების მიკუთვნების (გამიჯვნის) პილოტ-პროექტების მომზადება (გეგმა 80.0 ათასი ლარი), რაზეც ჩატარდა ღია ორეტაპიანი ტენდერი 80,0 ათასი ლარის გეგმური ღირებულებით. დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 78.0 ლარზე. შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად გადაირიცხა 78.0 ათასი ლარი. ტოპოგრაფიული გადაღებები - დაზუსტებული გეგმა – 17,5 ათასი ლარი მთლიანად დაფინანსებულია. შენობა-ნაგებობების კონფიგურაციათა და სიმაღლის დადგენისა და აზომვის სამუშაოები - გეგმა 6,0 ათასი ლარი მთლიანად დაფინანსებულია. ქ. თბილისის არქივებში არსებული ისტორიული დოკუმენტაციის მოძიება და ციფრული დამუშავების სამუშაოები დაფინანსდა 28.9 ათასი ლარით. აეროგადაღების მასალების ციფრული დამუშავება - გეგმა 10,0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 9,9 ათას ლარით.

კონკურსებისთვის გათვალისწინებული იყო 51.0 ათასი ლარი. დაფინანსდა 50.9 ათასი ლარით. მათ შორის, ჩატარდა კონკურსი „გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდ.ვერეს ხეობის ტერიტორიული მოწესრიგებისა და რეკრეაციული ზონის მოწყობა“. კონკურსის პრემირების თანხა განისაზღვრა 15,0 ათასი ლარით. რიყის ტერიტორიის განაშენიანების მოსამზადებელ სამუშაოებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 60,0 ათასი ლარი ცვლილებების შედეგად დაემატა 15,0 ათასი ლარი.

სამსახურის გეგმით გათვალისწინებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება ფაქტიურად არ განხორციელებულა. ასევე არ დაფინანსებულა ქ. თბილისის ისტორიული ზონის მარეგლამენტირებელი საყრდენი გეგმის სამუშაოები.

2006 წელს **თბილისის კორპუსის საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურებით გათვალისწინებული ხარჯები გეგმით შეადგენდა 396.7 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი 371.5 ათასი ლარია. მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით მიმართულია 228.1 ათასი ლარი. სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე – 58.2 ათასი ლარი. აქედან ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლაშენახვის ხარჯებზე – 25.4 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე –11.0 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯები დაფინანსებულია 82.8 ათასი ლარით, რითაც შეძენილია 37.4 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ძირითადი საშუალებები და კაპიტალური რემონტის ხარჯებია 35.4 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მთავრობის 31 იანვრის № 02.09.51 დადგენილებით, გამომდინარე სამსახურის მიერ შესასრულებებლი ამოცანების მნიშვნელობიდან, შ.პ.ს. „თბილისის მეტროპოლიტენის“ ბალანსზე რიცხული 4 მსუბუქი ავტომობილი – 79.4 ათასი ლარის ღირებულების გადმოეცა სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის – თბილისის კორპუსის ბალანზსე.

2006 წელს სამსახურის მიერ წარმატებით განხორციელდა – „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების გავითარების ხელშეწყობის პროგრამა“. ქ. თბილისის ბიუჯეტიდან 2006 წელს პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყო 13,979.7 ათასი ლარი. საანგარიშო წელს პროგრამის განხორციელებისათვის ფაქტიურად 13,786.534 ათასი ლარი დაიხარჯა. აქედან უშუალოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებაზე დაიხარჯა 13,084.1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯის 94.9 % შეადგენს.

საანგარიშო წლის განმავლობაში ლიფტების შესაკეთებლად დაფინანსდა 552 ობიექტი, შეკეთდა 699 ლიფტი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 2,967.6 ათასი ლარი;

სახურავების შეკეთებაზე დაიხარჯა 8,796.1 ათასი ლარი, შეკეთდა 1161 სახურავი; 1,320.4 ათასი ლარი დაიხარჯა შიდა წყალგაყვანილობის შეკეთებაზე, შეკეთდა 282 ობიექტი. პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი დარჩა 193.2 ათასი ლარი. აქედან ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებაზე მოდის 162.3 ათასი ლარი, ხოლო პროგრამის მომსახურების ხარჯზე – 30.9 ათასი ლარი. თანხის აუთვისებლობა უშუალოდ პროგრამის ფარგლებში (162.3 ათასი ლარი) გამოიწვია ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების მხრიდან მათი წილის გადაუხდელობამ (პროექტი ითვალისწინებს ამხანაგობებისა და მერიის თანამონაწილეობას), დაფინანსებულმა ამხანაგობებმა სამშენებლო კომპანიების ანგარიშზე ვერ შეიტანეს მათ მიერ გადასახდელი თანხა, რის გამოც ამ ამხანაგობებისათვის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ განხოეციელდა. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯმა (პროგრამის მომსახურება) შეადგინა 702.5 ათასი ლარი, რაც პროგრამის მთლიანი ხარჯის – 5.1 %-ია. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი – 3.6% მოდის ბინის მესაკუთრეთა თავჯდომარეების წახალისებაზე. ამ მიზნით 2006 წელს 489.9 ათასი ლარი დაიხარჯა (3.6% მთლიანი პროგრამის ხარჯებში და 69.7 % პროგრამის მომსახურების ხარჯებში). პროგრამის მომსახურების ხარჯებში შევიდა ასევე საწვავის ტალონების ხარჯი (32.2 ათასი ლარი), საკანცელარიო ხარჯი (9.2 ათასი ლარი), სარეკლამო მომსახურების ხარჯი (7.6 ათასი ლარი) სატელეფონო მომსახურება (12.4 ათასი ლარი) და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო და სხვა ხარჯები.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 127,045.2 ათას ლარს. განვლილი პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 237,333.6 ათასი ლარი. დაფინანსებულია 229,596.5 ათასი ლარის სამუშაოები.

დაზუსტებული გეგმით კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურზე გათვალისწინებულია მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯები 1,526.1 ათასი ლარის ოდენობით. დაფინანსდა 1,364.8 ათასი ლარით. მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით მიმართულია 1,071.4 ათასი ლარი. სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე - 282.6 ათასი ლარი. აქედან ხარჯების მეტი წილი მოდის ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე – 169.3 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე – 64.7 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯების გეგმა 20.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 10.8 ათასი ლარით, რითაც შეძენილია ძირითადი საშუალებები.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე, 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 110,580.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად კეთილმოწყობის ღონისძიებების გეგმა გაიზარდა 110,828.5 ათასი ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 221,408.5 ათასი ლარი. გეგმა ძირითადად გაზრილია გზის საფარის აღდგენით სამუშაოებზე. დაფინანსების შესაბამისად მიზნად იქნა დასახული პრიორიტეტულ დარგებში დაფინანსების ხვედრითი წილის გაზრდა და კონკრეტული პირველი რიგის ობიექტებისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოების პროგრამებში გათვალისწინება, გზების ტექნიკური მდგომარეობის, ქალაქის სანიაღვრე ქსელის გაუმჯობესებისა და ქალაქის გარეგანათების ხვედრითი წილის გაზრდისათვის.

გზის საფარის აღდგენით ღონისძიებების დაზუსტებული გეგმა 117,985.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 113,377.4 ათასი ლარით. 2006 წლის განმავლობაში ქალაქის გზებისა და შიდა კვარტალური ქუჩების კაპიტალურ შეკეთებაზე ჩატარდა 8 ტენდერი, 50 ქუჩაზე (მ.შ. 2 საერთაშორისო 27 ქუჩაზე). ესენია: ომის გმირების, ლაღიძის,ვეკუას, ქერჩის, კალოუბნის, გახოკიძის, კუპრაძის შავიშვილის, სუხიშვილის ქუჩები, ვარკეთილი 3-ის I, II, III და IV მ/რ-ის შიდა კვარტალური გზები, დიდი დიღომი III და IV მ/რ-ი შიდა კვარტალური გზები, ბავშვთა ქალაქთან მისასვლელი გზა და სხვა.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის დაზუსტებულმა გეგმამ 27,735.0 ათასი ლარი შეადგინა, დაფინანსდა 27,678.9 ათასი ლარით. შპს „თბილქალაქგანათება“ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით მომსახურებას უწევს 48.0 ათასამდე სანათ წერტილს. მათ შორის, 27.0 ათასამდე არის მოქმედი, ხოლო 21.0 ათასამდე სანათი დაკონსერვებულია და საჭიროებს კაპშეკეთებას. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა ეტეპობრივად და წლის ბოლოსათვის მოქმედი სანათი წერტილების რაოდენობა გაიზარდა 80-85 %-ით. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია ჩატარდა ქეთევან წამებულის, ჩოლოყაშვილის, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩებზე, ლილოს, ზემო ფონიჭალის, გლდანულას დასახლებებში, ვარკეთილი 3-ის III, IIIა და IV მ/რ-ში და სხვ.

სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაციის გეგმა 1,000.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 966.2 ათასი ლარით. ქალაქის სანიაღვრე მეურნეობა მოიცავს 430 კმ. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებს, რომლებზეც მოწყობილია 60 სათავე ნაგებობა, 1200 გვერდმიმღები, 1000-მდე წვუმმიმღები და საკონტროლო ჭა.

ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობისათვის გათვალისწინებული გეგმა 455.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 453.5 ათასი ლარით. ივლისიდან აღნიშნული სამუშაოებზე დამკვეთის ფუნქციიხ განხორციელება გადაეცა დასუფთავების საქალაქო სამსახურს.

ქალაქგაფორმებით სამუშაოებზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 13,529.7 ათასი ლარი დაფინანსდა 13,439.1 ათასი ლარით. შესრულდა სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები, მათ შორის, შობა-ახალი წლის ღონისძიება, შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრის და თურქეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები, დამზადდა დროშები, გმირთა მოედანზე დროშების მხატვრული მინათება, განხორციელ-

და საბავშვო ატრაქციონების, საპარკო სკამების, საბავშვო მოედნების ატრიბუტების შესყიდვა და მონტაჟი, კეთილმოწყო ბავშვთა ქალაქი მზიური, ტარას შევჩენკოს ძეგლის მიმდებარე სკვერი და სხვა.

ხიდებისა და გვირაბების მოვლა პატრონობის სამუშაოები დაფინანსდა 246.4 ათასი ლარით (გეგმა 350.0 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში საექსპლუატაციო სამუშაოები ჩაუტარდა მეტეხის საგვირაბო კომპლექსს, მხატვრული მინათების სანათები დამონტაჟდა ბარათაშვილის ხიდზე. ვ. გორგასლის, ბაგრატიონის, თამარ მეფის და მშრალ ხიდზე დამონტაჟდა სავალი ნაწილის მიმართულების მაჩვენებელი სანათები.

მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობის დაზუსტებული გეგმა 650.0 ათასი ლარია, რაც 640.9 ათასი ლარით დაფინანსდა, ქალაქში განთავსებული 54 გადასასვლელიდან ფუნქციონირებს 49 გადასასვლელი, სადაც წლის განმავლობაში განხორციელდა საექსპლუატაციო სამუშაოები.

თბილისის ზღვის მოვლაპატრონობისათვის გათვალისწინებული გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსდა 93.7 ათასი ლარით. ჩატარდა ღია ტენდერი ღირებულებით 58.9 ათასი ლარი, რის შედეგადაც გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს თბილისის ზღვის №1 და №2 პლიაჟის 24 საათიან დაცვას. ამ ღონისძიების დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება პლიაჟის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მ.შ. პლიაჟის ზედაპირის მოწყობის სამუშაოები.

დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების დაზუსტებულმა გეგმამ 21,210.0 ათასი ლარი შეადგინა. აქედან სუბსიდია – 10,435.0 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯები – 10,775.0 ათასი ლარი, დაფინანსება 21,208.9 ათასი ლარი. ამ პერიოდში განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განსათავსებელი ევროსტანდარტის შესაბამისი მოთუთიებული ლითონის კონტეინერების (1995 ც – 1776.3 ათასი ლარი), 50 ლიტრიანი დასაკიდი ურნების (3500 ც – 521.5 ათასი ლარი), მწვანე ფერის პლასტმასის ბორბლიანი ყუთების (5000 ც – 578.1 ათასი ლარი), სპეცტანსაცმლის (5700 კომპლექტი – 190.1 ათასი ლარი) შესყიდვა და მიწოდება. შეძენილ იქნა ასევე ქუჩების და ტროტუარების მექანიკური დაგვა-დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები სულ 88 ერთეული, 10,500.0 ათასი ლარის ღირებულებით. ნარჩენების მართვის მიზნით, მწვანე საფარის, ტროტუარების, ურნების სისუფთავის უზრუნველსაყოფად დაგროვილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო მოტოციკლები სულ 26 ცალი, 68.8 ათასი ლარის ღირებულებით. სულ შეძენილია 13,634.8 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები, რომელიც გადაეცა დასუფთავების საქალაქო სამსახურს

გამწვანების სამუშაოების გეგმა 2,000.0 ათასი ლარი გაიზარდა 380.0 ათასი ლარით და შეადგინა 2,380.0 ათასი ლარი. დაფინანსებულია 2,300.3 ათასი ლარით. ამ ღონისძიების ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდება ქალაქში არსებული მწვანე ზოლების დასუფთავება, ხეების გადაბელვა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, ხე-ბუჩქების ფორმირება, მოსასვენებელი საბადე სავარძლების მიწყობა და შეკეთება. სანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა დაირგი აეროპორტის ავტოსტრადაზე სხვადასხვა სახის 368 ძირი ნერგი, 570 ძირი ვარდის ნერგი დაირგო ვაკისა და ვარდების პარკებში. შესყიდულ იქნა დეკორატიული ქოთნები და ყვავილები საცხოვრებელი კორპუსების აივნებსა და შენობებზე მოსაწყობად.

ფასადების შეკეთების სამუშაოებზე გათვალისწინებული იყო 6,000.0 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტების შედეგად 17,855.0 ათასი ლარი გახდა და დაფინანსდა 17,845.4 ათასი ლარით.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების დამტკიცებული გეგმა 6,300.0 ათასი ლარი გაიზარდა და შეადგინა 17,953.8 ათასი ლარი. დაფინანსდა 17,952.0 ათასი ლარით. აღნიშნულ პერიოდში შეძენილ იქნა ტექნიკური მარილი და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით მოყრილი იქნა ქალაქის ქუჩებში. შეძენილ იქნა ყინულის მოედნის გასაბერი გადახურვის საშუალება, რიყის ტერიტორიაზე მოწყო ატრაქციონი „ტაუერი“, თავისუფლების მოედანზე აიგო და ოქროთი მოპირკეთდა წმინდა გიორგის ქანდაკება. ჩატარდა სხვადასხვა ერთჯერადი ღონისძიებები.

სამსახურის მიერ ჩატარდა ღონისძიება „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისათვის“, გეგმა 205.0 ათასი ლარი დაფინანსდა 189.5 ათასი ლარით, რაც მთლიანად სტუდენტების მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებაზე მიმართა. სტუდენტები დასაქმდნენ ქ.თბილისის სხვადასხვა უბნებში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებზე.

სამსახურის 2006 წლის ასიგნებებიდან დაიფარა საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მოწესრიგების სამუშაოების 2005 წლის დავალიანება გეგმით 308.7 ათასი ლარის ოდენობით.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის ხარჯები გეგმით შეადგენს 14,090.3 ათას ლარს. დაფინანსებულია 11,530.8 ათასი ლარით. აღნიშნულ ხარჯებში ძირითადია ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები. ამ კუთხით დაფინანსებამ შეადგინა 5,385.0 ათასი ლარი. სამუშაოები შესრულდა შემდეგ ობიექტებზე: ვარკეთილი 3-ის III მ/რ კორპ 303, II მ/რ-ის კორპ 2ბ, I მ/რ-ის კორპ 17, 18, 25, ვარკეთილის ზ/პ კორპ 3, გამსახურდის ქ. 36, ვაზისუბნის დასახლება კორპ 2ა,, 17, 18, 21, 22, 4ა და სხვა. საცხოვრებელი კორპუსების გარდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოს. სხვა კაპიტალური ხარჯების კუთხით დაფინანსება შეადგენს 5,096.7 ათას ლარს, რის ფარგლებშიც შესრულდა წმინდა სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება (გარე საინჟინრო კომუნიკაციები), სანიაღვრე წყლების მოცილების ღონისძიებები, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, საყრდენი კედლებისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები დაფინანსებულია 1,049.1 ათასი ლარით.

სამსახურს გააჩნია კრედიტორული დავალიანება 254.7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან 2005 წელს წარმოშობილი არის 95.0 ათასი ლარი, ხოლო 2006 წელს 159.7 ათასი ლარი. საიდანაც 126.0 ათას ლარზე აღებული ვალდებულება და წარმოდგენილია შესაბამისი დამოწმებაც, მათ შორის გაფორმებითი სამუშაოების დავალიანება შეადგენს 39.0 ათას ლარს და გამწვანებითი სამუშაოების დავალიანება 77.0 ათას ლარს.

ქ. თბილისის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად **შპს „თბილისის** წყალი“-ს სუბსიდირებაზე ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 11,208.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მთლიანად დაფინანსებულია. 2006 წლის განმავლობაში რაიონული ბიუჯეტების ხარჯებიდან წყლის წნევის გამაძლიერებელი ტუმბოების მომსახურებისათვის გათვალისწინებული 3,035.8 ათასი ლარი გადაცემული იქნა შპს „თბილისის წყალზე“, საიდანაც 327.5 ათასი ლარი დაფინანსებულია ამავე მუხლით, ხოლო 2,708.3 ათასი ლარი გადატანილია წყლით მომარაგების უზრუნველყოფის პროგრამაში, რაც მთლიანადაა დაფინანსებული. 2006 წელს შენარჩუნებული იქნა მოსახლეობის მიერ მოხმარებულ წყალზე შედავათიანი ტარიფი (1 სულზე თვეში 1 ლარი და 20 თეთრი) და გავრცელებული იქნა 50%-იანი შედავათები 2006 წელს მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შედავათის მქონე მოქალაქეებზე.

შპს „თბილისის წყალი“-ს საწესდებო კაპიტალის ზრდაზე ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიმართული იქნა გეგმით გათვალისწინებული 28,710.0 ათასი ლარი. ამ თანხით განხორციელდა: ქ. თბილისის წყალმომარაგების სარეზერვო სათავე ნაგებობების მშენებლობა მდინარე არაგვზე ბუფერულ აუზთან, 10 000 კბმ მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა ზემო ვეძისში, ზღვის უბნის სასმელი წყლის რეზერვუარის რეკონსტრუქცია, სასმელ-სამეურნეო წყალსადენისა და სამეურნეო ფეკალური კანალიზაციის ქსელების შეცვლა ქალაქი სხვადასხვა ნაწილში და სხვა.

2006 წელს დაიფარა შპს „თბილისის წყალზე“ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული წინა წლის კრედიტორული დავალიანება 389,2 ათასი ლარის ოდენობით.

თბილისის მეტროპოლიტენით მეტროპოლიტენის სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებული 13,983.0 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსებულია 12,532.6 ათას ლარის ოდენობით. გადაყვანილ მგზავრთა მთლიან რაოდენობაზე შენარჩუნებულია მგზავრობის დაბალი ტარიფი 20 თეთრი.

კაპიტალური დაბანდების ხარჯებისათვის გათვალისწინებული 17,197.0 ათასი ლარიდან ვალდებულება წარმოდგენილია 16,986.5 ათას ლარზე, რაც მთლიანად დაფინანსებულია. მათ შორის მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაციის ხარჯები შეადგენს 13,381.0 ათასი ლარი, ფაქტიური დაფინანსებიდან 2005 წელს აღებული სესხის მთლიანად დაფარვისათვის მიიმართა გეგმით გათვალისწინებული დადგენილებების თანახმად, გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის დაბალპროცენტიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე, 2005-2006 წლებში ავტობუსების შესაძენად, 3,100.0 ათასი ევროს ოდენობით. ამის, გარდა დამატებით გრანტის სახით გამოიყო 405.0 ათასი ევრო „დაფ“-ის მარკის ავტობუსების შესაძენად.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების თანხებით (2,233.5 ათასი ლარი) შეძენილია 57 ერთეული დაფის მარკის ავტობუსი, ამასთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული სესხით შეძენილია 26 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოგდან“-ის მარკის ავტობუსი, ხოლო გრანტის თანხით - 22 ერთეული „დაფ“-ის მარკის ავტობუსი, ხოლო იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის თანხით - 34 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოგდან“-ის მარკის ავტობუსი. საანგარიშო წელს საავტობუსო პარკი შეივსო 139 ერთეულით. ავტობუსების პარკიდან 19 ერთეული მოძველებული მოძრავი შემადგენლობა გადაეცა სხვადასხვა ორგანიზაციას, ჩამოწერილ იქნა 85, ხოლო რეალიზებული – 48 ავტობუსი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული კრედიტის მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან მთლიანად დაიფარა გეგმით გათვალისწინებული 1,650.0 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 10 ნოემბრის №01.14.14 დადგენილებით განხორციელდა შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოს“ ლიკვიდაცია. დედაქალაქში ელექტროტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა 2006 წლის 4 დეკემბერს.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის №03.09.63 დადგენილების საფუძველზე, დედაქალაქის საკრებულოს 24 თებერვლის №3-11 გადაწყვეტილებით, თბილისის 2006 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურიდან ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს გადაეცა საგზაო ნიშნების მოწესრიგების ღონისძიებების ხარჯები, თანხით 1,291.3 ათასი ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 1,283.1 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან საანგარიშო პერიოდში შესრულებულია

ქ.თბილისის ქუჩებისა და მოედნების საგზაო მონიშვნის სამუშაოები, დედაქალაქის ტერიტორიულ (ადმინისტრაციულ) საზღვრებში ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალებზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო წელს: დამონტაჟდა შუქნიშნის 23 ობიექტი და შეკეთდა 4 ობიექტი, დამონტაჟდა 1025 საგზაო ნიშანი, განხორციელდა შუქნიშნის ობიექტების და საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები, განხორციელდა 62954 კვ.მ ჰორიზონტალური და ვერტიკალური საგზაო მონიშვნა, მომზადდა 50 შუქნიშნის ობიექტის პასპორტი.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის №16.07.309 დადგენილების საფუძველზე საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით დედაქალაქის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებში დასაქმდა 413 სტუდენტი. დასაქმების პროგრამა, რომელიც განხორციელდა 2006 წლის ივლისში, ითვალისწინებდა საქალაქო-სამგზავრო ავტობუსის რამდენიმე მარშრუტზე მგზავრნაკადისა და მოძრაობის 1,057.0 ათასი ლარი, სესხის პროცენტისათვის 26,3 ათასი ლარი, ხოლო 24 ვაგონის მოდერნიზაციის მიზნით დაიხარჯა 12,297.7 ათასი ლარი.

„მეტროპოლიტენის“ სადგურებისა და ვესტიბიულების კაპიტალურ შეკეთებისათვის გათვალისწინებული სუბსიდირებიდან – 2,392.0 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსებულია 2,382.5 ათასი ლარი.

სხვა კაპიტალური დაბანდების ხარჯები მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე გეგმით შეადგენდა 1,424.0 ათასი ლარს, ფაქტიური დაფინანსება 1,222.7 ათასი ლარია. სამუშაოები შესრულებულია ოთხ ობიექტზე, მათ შორის საბურთალოს ხაზი “სადგური- უნივერსიტეტის“ №1-2 დეპოს შემაერთებელი ხაზის მომსახურებაზე -1,010.5 ათასი ლარი.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური საანგარიშო პერიოდში, ახორციელებდა მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (ავტობუსი, ელექტროტრანსპორტი, მიკროავტობუსი, ბაგირგზები) მართვას, რეგულირებას, ზედამხედველობას, აგრეთვე დედაქალაქის საგზაო ნიშნების მოწესრიგების სამუშაოებზე და სამგზავრო ტრანსპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე დამკვეთის ფუნქციას. მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით დედაქალაქის მოსახლეობას მომსახურებას უწევდა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“, „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“ და „თბილბაგირტრანსი“, აგრეთვე მიკროავტობუსების 49 და ავტობუსების 2 კერძო გადამზიდველი.

2006 წელს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის აპარატის ხარჯებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული 495,1 ათასი ლარი. ფაქტიურად დაფინანსებულია იმავე ოდენობით. მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით მიმართულია 370.8 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე – 105.3 ათასი ლარი, აქედან ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე – 42.0 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებზე – 22.9 ათასი ლარი, ამასთან კაპიტალური ხარჯებზე - 9.7 ათასი ლარი.

სამსახურისათვის 2006 წლის საქალაქო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტის ხელშეწყობისა და საქალაქო ელექროტრანსპორტის პროგრამა - შესაბამისად 8,250.0 ათასი ლარისა და 1,200.0 ათასი ლარის ოდენობით, ეს პროგრამები სრულად არის დაფინანსებული.

სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2006 წლის განმავლობაში მუნიციპალური ავტობუსებით გადაყვანილია 41,300.0 ათასი მგზავრი, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაზრდილია 50 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანიდან საწარმოს შემოსავალმა შეადგინა 8,613.7 ათასი ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 4,055.0 ათასი ლარით მეტია.

ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის №121 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 7 ივლისის №11.21.245 და 28 ივლისის №12.16.263 ინტერვალის მონიტორინგს, აგრეთვე ქალაქში საგზაო ნიშნების რაოდენობის დადგენას. სტუდენტების დასაქმება ბიუჯეტიდან ანაზღაურდა 169,3 ათასი ლარის ოდენობით.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს „თბილტრანსის“ ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა მიმართ დავალიანება ფინანსთა სამინისტროს მიერ აღიარებულია სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 10 აგვისტოს №181 ბრძანებით დაწყებულ იქნა ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება. ქ. თბილისის ბიუჯეტში 2006 წელს ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციოდ გათვალისწინებული 1,000.0 ათასი ლარი ფაქტიურად გადარიცხულია და სრულად დაკმაყოფილებულია 35 ოჯახი, ხოლო ერთმა ოჯახმა მიიღო კუთვნილი თანხის ნაწილი.

ქ. თბილისის მერიის **დასუფთავების საქალაქო სამსახური** შეიქმნა ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის ივნისში 51 საშტატო ერთეულით და საბიუჯეტო ასიგნებები განესაზღვრა 13,265.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: აპარატის ხარჯები 550.0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებების -12,040.0 ათასი ლარი, ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლის ხრჯი 675.0 ათასი ლარი.

სამსახურის აპარატის შესანახვაზე ფაქტიურად გაწეულია 491.1 ათასი ლარი. მათ შორის, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 152.8 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები 28.3 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 111.3 ათასი ლარი, მათ შორის ოფისის ხარჯებში - 3.8 ათასი ლარი და კომუნალურ მომსახურების ხარჯებში -21.6 ათასი ლარი. ტრანსპორტის და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის 65.3 ათას ლარი. შეძენილია 45.5 ათასი ლარის ღირებულების საავტომობილო საწვავი, ა/მანქანების შეკეთებისათვის გადახდილია 19.7 ათასი ლარი. სხვა ხარჯებისათვის 15.7 ათასი ლარი მთლიანად გაწეულია სარეკლამო ბანერების დამზადებაზე და მონტაჟზე. კაპიტალური ხარჯები დაფინანსებულია 198.8 ათასი ლარის ოდენობით. შეძენილია 184.5 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები, კერძოდ- 127.5 ათასი ლარის ღირებულების 17 ერთეული მსუბუქი ა/მანქანა, 56.9 ათასი ლარის საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა. გაწეულია 14.3 ათასი ლარის ოფისის რემონტის ხარჯი.

ქალაქის დასუფთავების ღონისძიებების ხარჯებიდან - 12,040.0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია სუბსიდიებისათვის 10,910.0 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯებისათვის - 1,130.0 ათასი ლარი. ვალდებულება წარმოდგენილია სულ 12,018.0 ათას ლარზე, დამოწმებული და გაწეულია საკასო ხარჯი 12,018.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, სუბსიდიები -10,892.3 ათასი ლარი. აქედან 1,092.2 ათასი ლარი გადაირიცხა სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ჩატარებულ ოთხდღიან სტუდენტურ პროგრამაში (დასაქმებული იყო სულ 6018 სტუდენტი) მონაწილე სტუდენტების ხელფასებზე საშემოსავლო და სოციალური ანარიცხების გათვალისწინებით. ხოლო 9,800.1 ათასი ლარი მოხმარდა: დედაქალაქის I და II კატეგორიების ქუჩების, შიდა კვარტალური ქუჩების, ხევებისა და ფერდობების დაგვა-დასუფთავებას, მოსახლეობიდან (სანაგვე ბუნკერებიდან და კონტეინერებიდან) საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ღია ნაგავსაყრელ პოლიგონებზე, დედაქალაქის ქუჩების სეზონურად მორწყვა-მორეცხვას; ბუნკერების დერატიზაციას, დეზინსექციას და რეცხვას (აღნიშნული სამუშაოები ჩაუტარდა სულ 118507 ბუნკერს, რაზედაც დახარჯულია 1,658.0 ათასი ლარი); საზოგადო მოღვაწეთა ძეგლების (17 ერთეული) მოვლა-პატრონობას, მორიგე ნაგავმზიდების მეშვეობით სადღესასწაულო დღეებში და არასამუშაო საათებში სანაგვე კონტეინერების დაცლას და ნარჩენების გატანას, საცხოვრებელ კორპუსებში მდებარე ბუნკერების შეკეთებას, I კატეგორიის ქუჩებს მიეკუთვნება 137 ქუჩა, რომლის საერთო ფართია 1610.4 ათ. კვ.მ. იგვება დღეში ორჯერ, II კატეგორიის ქუჩებს მიეკუთვნება 592 ქუჩა საერთო ფართით 5007.9 ათ. კვ.მ., იგვება ხელით დღეში ერთჯერ, მექანიზაციის საშუალებით იგვება 21 ქუჩა, საერთო ფართით 467.8 ათასი კვ.მ, ასევე იგვება შიდაკვარტალური მისასვლელები და გზები, საერთო ფართით 3693.9 ათ. კვ.მ.

ძირითადი საშუალებების შეძენის მუხლიდან შეძენილია თურქული წარმოების ნაგვის შემკრები კონტეინერები 305 ცალი (1.1 ლ.ტევადობის) 273.0 ათასი ლარის ღირებულების (ერთი კონტეინერის ღირებულებაა 895 ლარი, ასევე შეძენილია გერმანული წარმოების ნაგავშემკრები კონტეინერი 345 ცალი (1.1 ლ.ტევადობის) 408.8 ათასი ლარი (ერთი კონტეინერის ღირებულებაა 1185 ლარი). 55.9 ათასი ლარი მოხმარდა 50 ლიტრიანი ნაგვის ურნების სამაგრების (2500 ცალი კომპლექტი, ერთი კომპლექტის ღირებულებაა 10-55 ლარი), ნაგვის ურნების მისამაგრებელი ბოძების (1000 ცალი, ერთი ცალის ღირებულებაა 23.79 ლარი) შესყიდვასა და მონტაჟს. იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონზე შეზიდული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებელყოფისათვის საჭირო გახდა 29.6 ათასი ლარის ღირებულების დიდი სიმძლავრის ბულდოზერის შეძენა, ხოლო ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის №03.29.96 დადგენილების საფუძველზე 215.0 ათასი ლარი გადაერიცხა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ გამართული ფუნქციონირების, დედაქალაქში დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით საწესდებო კაპიტალისათვის.

ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლის წლიური გეგმა შეადგენდა 675.0 ათას ლარს, აღებული ვალდებულება -655.1 ათას ლარს, დამოწმება და საკასო ხარჯიც -654.3 ათას ლარს, მიღებული დაფინანსებიდან 11.8 ათასი ლარი მოხმარდა იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის, რომლის საერთო ტერიტორია შეადგენს **5** ჰექტარს, 7 დაცვის თანამშრომლის 24 საათიანი დაცვის მომსახურებას, ხოლო 15.6 ათასი ლარი -გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის 24 საათიან დაცვის მომსახურებას. ფონიჭალის გადამტვირთი სადგურიდან იაღლუჯის ნაგავსაყრელ პოლიგონზე ქ. თბილოსის რაიონებიდან შემოტანილი ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია 32.9 ათასი ლარი, შეზიდულია და გაუვნებელყოფილია სულ 38169 კუბ.მ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენები, იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონზე შეზიდულია და გაუვნებელყოფილია ასევე სხვადასხვა ობიექტების მიერ 171056.14 კუბ.მ საყოფაცხოვრებო და ქუჩიდან მონახვეტი. დახარჯულია სულ 121.3 ათასი ლარი, ხოლო გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონზე შეზიდულია და გაუვნებელყოფილია 302418 კუბ.მ საყოფახცოვრებო და ქუჩიდან მონახვეტი, რაზეც დახარჯულია 165.8 ათასი ლარი. გლდანის ღია ნაგავსაყრელ პოლიგონზე ჩატარდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიწის ფენილით გადაფარვითი სამუშაოები. მოჭრილია და შეზიდულია 21150 კუბ.მ მიწა. აღნიშნული სამუშაოებისათვის დაიხარჯა 79.3 ათასი ლარი. ჩატარდა აგრეთვე ნაგავსაყრელ პოლიგონებზე მისასვლელ სამანქანო გზებზე ბალასტის შეტანის, გაშლისა და მოშანდაკების სამუშაოები. იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელ პოლიგონზე აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა 4000კვ.მ ფართზე, რისთვისაც გადაირიცხა 39.0 ათასი ლარი, გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონისათვის შეზიდულ იქნა 3500 კუბ.მ მიწა. აღნიშნული სამუშაოებისათვის გადაირიცხა 93.9 ათასი ლარი. ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების კონტრო-

ლის გაუმჯობესებისათვის საჭირო გახდა იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელ პოლიგონზე სასწორის მოწყობა. მისი პროექტირებისა და მოწყობისათვის დაიხარჯა 47.4 ათასი ლარი. ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის №03.29.96 დადგენილების საფუძველზე 61.0 ათას ლარი გადაერიცხა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ გამართული ფუნქციონირების, დედაქალაქში დაგვადასუფთავებისა და ნარჩენების მართვის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით.

ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მეშვეობით პირველად 2006 წელს, განხორციელდა პროგრამა „დაიწყე შენი ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“, რომლის დასაფინანსებლად გამოეყო 500.0 ათასი ლარი. პროგრამის განსახორციელებლად მოსახლეობის ინფორმირების შემდეგ მოხდა შემუშავებული ფორმით განაცხადებების მიღება პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. სულ შემოვიდა 668 განცხადება.

ტრეინიგები ჩაუტარდათ 500 კანდიდატს. კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ იქნა 300-მდე ბიზნეს-გეგმა და მათ გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატი. 300-მდე ბიზნეს-გეგმის განხილვის საფუძველზე „საქართველოს ბანკი-“სა და „თი-ბი-სი ბანკი-“ს მიერ საბოლოოდ შეირჩა 14 ბენეფიციარი, რომლებსაც სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად გაეწიათ ფინანსური მხარდაჭერა.

ქ. თბილისის მთავრობის 26 დეკემბრის №04.09.139 დადგენილების საფუძველზე ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურსა და „საქართველოს ბანკსა“ და „თი-ბი-სი ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პროგრამის განსახორციელებლად „საქართველოს ბანკში“ გადაირიცხა ქ. თბილისის მერიის საგარანტიო თანხა 61.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო „თი-ბი-სი ბანკში“ – 54.8 ათასი ლარის ოდენობით. სულ გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 116.3 ათ. ლარი.

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2006 წელს მუნიციპალური ფონდის ანგარიშზე სულ გადარიცხულ იქნა 5,145.4 ათასი ლარი. მათ შორის: სესხის მომსახურება – 3,720.0 ათასი ლარი (საიდანაც 1,142.2 ათასი ლარი შეადგენდა ძირითად თანხას, ხოლო 2,577.7 ათასი ლარი – პროცენტს), თანადაფინანსება – 1,425.7 ათასი ლარი.

სესხის მომსახურება მოიცავს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ორივე ფაზას. მათ შორის პირველი ფაზის სესხის მომსახურების თანხამ 2006 წელს შეადგინა 1,857.8 ათასი ლარი (აქედან 832.7 ათასი ლარი – ძირითადი თანხა, ხოლო 1,025.1 ათასი ლარი – პროცენტი), ხოლო მეორე ფაზის სესხის მომსახურების თანხამ – 1,862.2 ათასი ლარი (მათ შორის 309.5 ათასი ლარი – ძირითად თანხა, ხოლო 1,552.6 ათასი ლარი – პროცენტი).

2006 წელს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობასა და მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის ხელშეკრულება დაიდო 6 საინვესტიციო პროექტზე – მისაქციელის დამცავი დამბის აღდგენა (თბს/214), ჭოპორტის წყალმიმღების და დამცავი დამბის აღდგენა (თბს/215), აბანოსხევის დამცავი დამბის აღდგენა (თბს/216), საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენითი სამუშაოები (თბს/217), ჭოპორტის წყალსაცავის გაწმენდა (თბს/218), ნატახტრის წყალსადენში შემოვლითი მილსადენის და სადრენაჟო კოლექტორების რეაბილიტაცია (თბს/219), რომელთა ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა 7,174.3 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსების თანხა 2006 წელს სრულად გადაირიცხა მუნიციპალური განვითარების ფონდის ანგარიშზე.

ქ. თბილისის **შს მთავარი სამმართველოს** 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შესანახი ხარჯი განესაზღვრა 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: ოფისის ხარჯი 25.0 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯი 850.0 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 125.0 ათასი ლარი. პოლიციის თანამშრომლებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობების უზრუნველყოფისა და სამსახურეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე (პოლიციის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და სატელეფონო კავშირებით, მოძველებული ავტომეურნეების განახლება და სხვა) ქ. თბილისის შ ს მთავარი სამმართველოს თხოვნის საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის მთავრობის 2006 წლის 10 ნოემბრის №01.02.05 დადგენილებისა და შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულოს 20 ნოემბრის №2-6 გადაწყვეტილების საფუძველზე, ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილ იქნა 523.0 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებისათვის 103.0 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებისათვის –420.0 ათასი ლარი. სულ დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,523.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში წარმოდგენილია იგივე ოდენობის ვალდებულება, რაც მთლიანად არის დაფინანსებული. თბილისის შს მთავარი სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული სამმართველოები მთლიანად შეადგენს 36 ობიექტს. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კომუნალური ხარჯები, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ ობიექტებზე დამთავრდა სარემონტო სამუშაოები, განხორციელდა მშენებლობა და შესაბამისად გაიზარდა სასარგებლო ფართები, კეთილმოეწყო და შემოიღობა შს მთავარი სამმართველოსა და მისი დანაყოფების ეზოები და ავტოსადგომები, ჩატარდა შს სამმართველოს შენობაში განთავსებული ყაზარმისა და საკონტროლო გამშვები პუნქტის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები, ასევე ადმინისტრაციულ შენობაში დამატებით სათავსოს მოწყობის სამუშაოები. გათბობის სისტემები გადაყვანილი იქნა ბუნებრივი აირის მოხმარებაზე. დამონტაჟებული იქნა ზამთარ-ზაფხულის კონდიცირების სისტემები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელი და დღეისათვის სარგებლობაშია 386 ერთეული ტელეფონი.

კომუნალური ხარჯებისათვის დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი 985.1 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული. მათ შორის: ელ. ენერგიის 400.0 ათასი ლარი, წყლის ხარჯი 232.6 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის - 259.6 ათასი ლარი, ბუნებრივი აირის ფაქტიურმა ხარჯმა მიმდინარე წლის განმავლობაში შეადგინა 104.6 ათასი ლარი (გეგმა 3.0 ათასი ლარი).

სხვა ხარჯებისათვის, რომელშიც გათვალისწინებულია ლიფტების მომსახურეობა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, გეგმით გათვალისწინებული იყო 35.0 ათასი ლარი, ფაქტიურადაც დაიხარჯა 35.0 ათასი ლარი.

ოფისის ხარჯების გეგმა 19.9 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული. რბილი ინვენტარისათვის გამოყოფილი 33.0 ათასი ლარით ოპერატიული მუშაკებისათვის შეძენილი იქნა კომბინირებული ქურთუკები და კეპები, ხოლო მუშა-ხელოსნებისა და დამლაგებლებისათვის –სპეც. ტანსაცმელი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში გეგმით გათვალისწინებული 30.0 ათასი ლარით შეკეთებული იქნა შს მთავარ სამმართველოს ბალანსზე რიცხული ა/მანქანები.

კაპიტალური ხარჯების მუხლში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 420.0 ათასი ლარიდან სატრანსპორტო საშუალებებისა და ძირითადი საშუალებების ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 237.0 ათასი ლარი, შეძენილი იქნა 9 ავტომობილი, თითო ცალი ფაქსის და ასლგადამღები აპარატი, ხოლო შენობა - ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მუხლში ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 183.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა გახარჯული იქნა შს მთავარი სამმართველოს შენობაში განთავსებული ყაზარმის და საკონტროლო გამშვები პუნქტის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებისათვის.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 7 ივლისის №122 განკარგულების საფუძველზე ლიკვიდაცია განიცადა შ.პ.ს. ქ. თბილისის **წყალში მაშველთა სამსახურმა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველომ,** ხოლო რეორგანიზებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, ხანარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე – ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური.

ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის 2006 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,000.4 ათას ლარს. მათ შორის აპარატის შენახვის ხარჯები 420.7 ათასი ლარი და საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების პროგრამა 1,579.7 ათას ლარს.

2006 წლის აპარატის ხარჯებიდან მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლში გეგმით გათვალისწინებული 244.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 240.0 ათასი ლარით, დამქირავებლიდან ანარიცხების 38.0 ათასი ლარით.

სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებიდან - გეგმით 60.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 38.1 ათასი ლარით. მათ შორის ოფისის ხარჯი – 6.7 ათასი ლარი, კომუნალური მომსახურების ხარჯები – 2.0 ათასი ლარი და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები – 19.9 ათასი ლარი.

კაპიტალური ხარჯი განისაზღვრა 59.1 ათასი ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 57.4 ათასი ლარი. მათ შორის, კოდორის ხეობაში შექმნილი საგანგებო ვითარების გამო შეძენილი იქნა სახანძრო უსაფრთხოებისათვის ერთი სახანძრო ავტომანქანა.

საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის მუხლში სუბსიდიებისათვის გათვალისწინებული იყო 1,570.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1,550.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით 2006 წელს ქალაქ თბილისში ხანძრებისა და პირველი რიგის საავარიო-სამშველო (ტექნიკურ) სამუშაოებზე რეგისტრირებულია 6848 გამოძახება. აქედან 3783 ხანძრებზე, 377 სამაშველო სამუშაოებზე, 414 სხვადასხვა სახის სამუშაოებზე. ადგილი ჰქონდა ფიქტიური გამოძახების 692 შემთხვევას. დაფიქსირდა სპეც.გამოძახების (ტექ.დახმარების) 225 ფაქტი. გარდა ამისა მეხანძრეთა და მაშველთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით მოეწყო 1357 ტექნიკური მეცადინეობა. ხანძრებზე დაიღუპა 25 და სხვადასხავა სახის დაზიანება მიიღო 44 ადამიანმა. წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარების შედეგად გადარჩენილი იქნა 18 ადამიანი.

სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მიერ 2006 წელს შემოწმებული იქნა 1271 ობიექტი საქართველოში მოქმედი ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და წესების დარღვევისათვის 54 ადამიანს დაეკისრა ადმინისტრაციული სასჯელი ფულადი ჯარიმის სახით.

სამოქალაქო უსაფრთხოების ხაზით, შემოწმება-დათვალიერება ჩაუტარდა 71 კომუნალურ სექტორში არსებულ თავშესაფრს, სამოქალაქო თავდაცვის კუთხით შემოწმებული იქნა 6 სახალხო მეურნეობის ობიექტის არსებული მდგომარეობა.

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამსახურს კრედიტორული დავალიანების სახით ერიცხება 73.6. ათას ლარი, რაც წინა წლების დავალიანებას შეადგენს.

ომის ვეტერანების ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე 2006 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული 100.0 ათასი ლარი მთლიანად დაფინანსებულია.

1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად **დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალურ ზარალის** ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 26.04.02 №3 ა/87 გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სამართლოს 20.11.02 №3 გ/ად 212-კ-02 განჩინებით ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლოდურად დაეკისრათ 4606.9 ათასი აშშ დოლარის გადახდა. გარდა აღნიშნულისა 2003-2006 წლებში 28 დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ საქართველოს უზენაესი სამართლომ ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლოდურად დააკისრა 986,7 ათასი აშშ დოლარის გადახდა. 2003 წლიდან 2007 წლის პირველ იანვრამდე ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოყოფილი 2386,0 ათასი ლარი 1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ ყოველთვიურად ნაწილდებოდა დაზარალებულ მოქალაქეზე პროპორციული წესით და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ კომისიის წარდგენილი სიის შესაბამისად დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალურ ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის 2006 წელს გეგმით გათვალისწინებული 800,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 799,5 ათასი ლარი.

ქ.თბილისის 2006 წლის **მერის სარეზერვო ფონდის** დამტკიცებული გეგმა 3000,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერის შესაბამისი განკარგულებებით, გამოყოფილია და ფაქტიურადაც ათვისებულია 2,632.5 ათასი ლარი მათ შორის: სოციალურად დაუცველ გარკვეული კატეგორიის (სამკურნალოდ, ოპერაციისათვის და სხვა) მოქალაქეთა დახმარებისათვის – 355.4 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერიის ადმინიატრაციისათვის - 911,5 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სხვადასხვა ღონისძიებებისათვის- 883.5 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ღონისძიებებისათვის- 272,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერიის ჯანმრთალობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის პროგრამებისათვის -48.8 ათასი ლარი, ქ.თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურისათვის- 26,3 ლარი, ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს საგზაო ნიშნების მოწესრიგებისათვის- 100,0 ათასი ლარი, და ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების გასაცემად- 35,0 ათასი ლარი.

რაიონული ბიუჯეტების ხარჯების წლიური დაზუსტებული გეგმის 47,368.9 ათასი ლარის საკასო შესრულება 46,209.9 ათასი ლარია, რაც გეგმასთან 1,160.0 ათასი ლარით და აღებულ ვალდებულებასთან (46,443.5 ათასი ლარი) შედარებით 233.6 ათასი ლარით ნაკლებია.

რაიონული ბიუჯეტების ხარჯების 2006 წლის მაჩვენებლები ცალკეული რაიონების მიხედვით შემდეგია:



რაიონული ბიუჯეტების ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი მოდის განათლების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯებზე, ქალაქში ფუნქციონირებად 201 დაწესებულებაზე გაწეულმა ხარჯებმა რაიონული ბიუჯეტების მთლიანი ხარჯების – 30.2% და 13,933.4 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი დამქირავებლიდან ანარიცხებთან ერთად 5,433.4 ათასი ლარია, კვების ხარჯები -4,507.8 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯები -2,379.5 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯები - 947.6 ათასი ლარი, მათ შორის ინვენტარის შეძენის ხარჯი -198.0 ათასი ლარი და დაწესებულებების შენობების კაპიტალური რემონტის ხარჯი -749.6 ათასი ლარი.

რაიონული ბიუჯეტების ხარჯების 21.8 %, ანუ 10,097.8 ათასი ლარი მოდის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე, საიდანაც უმწეო ოჯახების სოციალურ დახმარებეზე გაწეული ხარჯები 4,897.5 ათასი ლარია.

ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის გეგმით გათვალისწინებული 4,682.3 ათასი ლარიდან ათვისებულია 4,639.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.1%. ასევე თითქმის მთლიანად არის ათვისებული რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული ხარჯები - 12,057.7 ათასი ლარით (გეგმა 12,114.6 ათასი ლარი), საიდანაც გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმართულია 3,199.9 ათასი ლარი (გეგმა 4,200.8 ათასი ლარი).

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად რაიონულ ბიუჯეტებში დამატებული იქნა ხარჯები საცხოვრებელი სახლების I სართულების კეთილმოწყობისათვის 1,546.7 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებულია 1,537.2 ათასი ლარის სამუშაოები, რაც მთლიანად დაფინანსებულია.



გლდანი – ნაძალადევის რაიონი

რაიონის 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 10,676.8 ათასი ლარი, შესრულდა 10,572.4 ათასი ლარით, ანუ გეგმის 99,0%-ი. რაიონის ბიუჯეტის 2006 წლის ხარჯების გეგმა 10,676.8 ათასი ლარი. ვალდებულება აღებულია 10,590.5 ათას ლარზე, დაფინანსებულია 10,547.2 ათასი ლარით ანუ გეგმის 98.8%-ით.

მმართველობითი ორგანოების ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 710.5 ათასი ლარი, აღებული ვალდებულება - 694.9 ათასი ლარი, დამოწმება 693.6 ათასი ლარი, დაფინანსებულია სრულად. გამგეობის აპარატის ხარჯებმა შეადგინა 629.0 ათასი ლარი, აქედან კაპიტალური ხარჯებია 66.2 ათასი ლარი, სამხედრო განყოფილების - 64.6 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (53 საბავშვო ბაგა-ბაღი) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3,807.6 ათას ლარს, ვალდებულება აღებულია 3,751.4 ათას ლარზე, დამოწმებულია 3,723.7 ათასი ლარი და დაფინანსებულია სრულად. ბაგა-ბაღში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული 1,419.4 ათასი ლარი. ელექტროენერგიის ხარჯში ვალდებულება აღებულია 180.4 ათას ლარზე დაფინანსებულია 171.0 ათასი ლარით (აუთვისებელობა გამოწვეულია ორგანიზაციის მიერ ანგარიშფაქტურისა და დამოწმების წარმოუდგენლობით). წყლის ხარჯებში ვალდებულება აღებულია 271.8 ათას ლარზე და დაფარულია 267.3 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 1,374.9 ათასი ლარიდან გახარჯული იქნა 1,365.2 ათასი ლარი, დაწესებულებების შენობების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართულია 252.6 ათასი ლარი (254.5 ათასი ლარი).

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 76.6 ათას ლარს, დაზუსტებული მონაცემებით შეადგინა 117.5 ათასი ლარი, სხვაობა 40.8 ათასი ლარია. კრედიტორული დავალიანების ზრდა ძირითადად მოდის ელექტროენერგიაზე. (99-ე ბაგა-ბაღი). აქედან დაფარულია 52.3 ათასი ლარი, ვალი 2007 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 65.2 ათას ლარს.

სოციალური ღონისძიებებისათვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,854.5 ათასი ლარი. ვალდებულებამ - 2,854.2 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 2,848.4 ათასი ლარი და საკასო ხარჯიც 2,848.4 ათასი ლარია, 99,8% დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით. აქედან: მარტოხელა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურმა დახმარება დაფინანსებულია 1,340.9 ათასი ლარით, მრავაშვილიანი და მარტოხელა დედების ოჯახების მუნიციპალური დახმარებისათვის გეგმით გათვალისწინებული 662.2 ათასი ლარი, დაფინანსებულია მთლიანად, გორგასლის I-II-III ხარისხის ორდენოსან გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება გაცემულია 76 ოჯახზე, გეგმიური 19.2 ათასი ლარი, დაფინანსებულია 18.2 ათასი ლარით.

გლდანი–ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 3 სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 1560 უმწეო მოქალაქე, თითეული მოქალაქის კვების ხარჯი შეადგენს 0.75 ლარს. გეგმით 436.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი 436.1 ათასი ლარია, რაც გახარჯული იქნა საახალწლო ნობათის შესაძენად იმ უმწეო მოქალაქეთათვის, ვინც სარგებლობს უმწეო სასადილოს მომსახურებით.

დახმარება ყოველ ახალშობილზე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 180.0 თასი ლარი 3600 ახალშობილზე, დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილია გასანაღდებლად 4118 ვაუჩერი, 518 ვაუჩერით მეტი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით. ამა წლის 4 დეკემბრის №1190 განკარგულებით დაზუსტდა გეგმა მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა მუნიციპალური დახმარებაში წარმოქმნილი ეკონომიიდან 206.3 ათასი ლარით და გაცემულია 205.9 ათასი ლარი.

სოციალურად დაუცველ პერსონალურ პენსიონერთა ტრანსპორტით მგზავრობის კომპენსაციის საკასო ხარჯი შეადგენს 38.4 ათას ლარს და გაცემულია 639 პენსიონერზე, დედმამით ობოლ 116 ბავშვზე გეგმიური 10.5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 10.2 ათასი ლარი.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯების გეგმა -35.0 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 100 გარდაცვლილი მეომრის სარიტუალო მომსახურეობისათვის. გარდაცვლილთა რაოდენობამ დეკემბრის მდგომარეობით 247-ს მიაღწია, გეგმა გაიზარდა 51.5 ათასი ლარით და დაზუსტებული გეგმა - 86.5 ათასი ლარი, დაფინანსებულია სრულად.

საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების გეგმა 500.0 ათასი ლარი, დაზუსტდა და შეადგინა 890.6 ათასი ლარი ანუ გაიზარდა 390.6 ათასი ლარით. ვალდებულება აღებულია 881.6 ათას ლარზე, დამოწმებულია და საკასო ხარჯმა შეადგინა 877.4 ათასი ლარი, მათ შორის დაიფარა 2005 წლის დავალიანება 188.6 ათასი ლარი.

ფაქტიური ხარჯებიდან: დასრულდა გასულ წელს დაწყებული ე. ბეჟანიშვილის ქ. №21-23, ც. დადიანის ქ. №261 და №323-ში მდებარე მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებაითი სამუშაოები –50.7 ათასი ლარი, შესრულდა აღდგენა-გამაგრების სამუშაოები 4 ობიექტებზე – 312.2 ათასი ლარი. ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი 66 სადარბაზოს - 227.2 ათასი ლარი; ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ჩატარდა აღდგენა-გამაგრების სამუშაოები ჯავის ქ. I შეს. №8 მწვავე ავარიული სახლის– 30.0 ათასი ლარი, შეკეთდა 5 შენობის დაზიანებული სახურავი 399.1 ათასი ლარი; კორპუსების წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა წყლის მილები 787 ლარი, ექსპერტიზა ჩაუტარდა მ/წ გასამაგრებელი ოთხი ავარიული სახლის პროექტს – 4.4 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის დამტკიცებული გეგმა 2,410.2 ათასი ლარია, დაზუსტებული გეგმა შეადგენს – 2,147.6 ათასი ლარს, ვალდებულება აღებულია 2,145.6 ათას ლარზე, დამოწმებულია და გაწეულია 2,141.4 ათასი ლარის ხარჯი.

რაიონის მწვანე ზოლის მოვლაზე სულ გეგმით გათვალისწინებული 400.0 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 399.6 ათას ლარზე, დამოწმებულია და საკასო ხარჯი შეადგენს – 399.6 ათას ლარს, რაც დაზუსტებული გეგმის 99.9%-ია. დაიფარა გასული წლის დავალიანება 36.4 ათასი ლარი, 2006 წლის აგროტექნიკურ ღონისძიებებზე კი დაიხარჯა 363.2 ათასი ლარი. გამწვანების სამუშაოებს ასრულებენ ტენდერის საშუალებით გამოვლენილი გამარჯვებულები.

საგზაო სამუშაოებზე დაზუსტებული გეგმა– 500.7 ათას ლარზე მთლიანად ათვისებულია. 2006 წლის I კვარტალში დაიფარა გასული წლის დავალიანება 29.8 ათასი ლარი, შეკეთდა 16 ქუჩის საფარი საერთო ფართით 19350 კვ.მ., 2 ქუჩის 2200 კვმ ასფალტის საფარი და მოიხრეშა 2 200 კვმ გზა ლოტკინის დასახლებაზე.

კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებისათვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 471.5 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 767.7 ათასი ლარი ანუ 296.2 ათასი ლარით მეტი. დამოწმება და საკასო ხარჯი 762.4 ათასი ლარია, რაც დაზუსტებული გეგმის 99.3%-ია. დაიფარა 115.7 ათასი ლარის გასული წლის დავალიანება და შესრულდა 646.7 ათასი ლარის სამუშაოები. მ/შორის: აღდგენა-გამაგრება ჩაუტარდა საყრდენ კედელს ქართლის ქ-ზე 7.8 ათასი ლარი, ჩატარდა სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები -119.5 ათასი ლარი, სპორტულ მოედანების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები -254.6 ათასი ლარი, შეძენილ იქნა საახალწლო სათამაშოები -2.4 ათასი ლარი; აღდგა კორპუსების მისასვლელი კიბეები, მოეწყო პარკინგი ხიზანიშვილის ქ-ზე ახლად გახსნილი „ვარდების რევოლუციის“ პარკის მიმდებარედ -34.9 ათასი ლარი; შიდაკვარტალურ ეზოებსა და მწვანე ზოლში ჩაიდგა ატრაქციონები- 29.2 ათასი ლარის ღირებულების, აღდგა ავარიული კიბეები თ/დ კ.15 მ/ტ და გლდანის II მ/რ №167-ე სკოლასთან -23.7 ათასი ლარი, საახალწლო მინათებებისა და ილუმინაციების მოწყობაზე დაიხარჯა -78.3 ათასი ლარი და სხვა.

2006 წელს სადარბაზოების კეთილმოწყობის სამუშაოებზე დამატებით გამოიყო -361.9 ათასი ლარი და ფაქტიური ხარჯიც მლიანად იქნა გაწეული. 331 საცხოვრებელ სახლში დამონტაჟდა 796 ცენტრალური კოდირებულსაკეტიანი და 107 სათადარიგო ლითონის კარები.

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 865.6 ათასი ლარი, მ/შორის საბინაო ფონდის კაპ. შეკეთებაზე 199.8 ათასი ლარი, ხოლო კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 665.8 ათასი ლარი. საანგარიშო წელს დაიფარა 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული 2005 წელს წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება 429.5 ათასი ლარი, მ/შორის: საბინაო ფონდის კაპ. შეკეთებაზე 188.6 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 240.9 ათასი ლარი.

გაუთვალისწინებული ხარჯებიდან 50.8 ათასი ლარიდან, აღებულია ვალდებულება 37.5 ათასი ლარის, დამოწმენულია და საკასო ხარჯმა შეადგინა 47.5 ათასი ლარი.

სტუდენტთა საზაფხულო სამუშაოების დასაფინანსებლად ბიუჯეტი გაიზარდა 225.5 ათასი ლარით, რაიონში დასაქმებული იყო 482 სტუდენტი, ვალდებულება აღებულია, დამოწმებულია და საკასო ხარჯი შეადგენს 197.2 ათას ლარს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი

რაიონის ბიუჯეტის 2006 წლის შემოსავლების გეგმა 8,238.2 ათასი ლარი შესრულდა 8,046.6 ათასი ლარით, 97.7%-თ. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაფინანსებულია 8,048.1 ათასი ლარით (8,238.2 ათასი ლარი). მმართველობის ხარჯების დამტკიცებული გეგმა იყო 613.8 ათასი ლარი, გეგმა დაზუსტდა და შეადგინა 629.8 ათასი ლარი, აღნიშნულ პერიოდში აღებულა 629.9 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 629.3 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 629.3 ათასი ლარი.

სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,252.0 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ 2,162.0 ათასი ლარი. აღებულ იქნა 2,108.5 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 2,090.5 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 2,090.5 ათასი ლარი, მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე- 910.0 ათასი ლარი; სხვა საქონელსა და მომსახურებაზე- 1107.5 ათასი ლარი; კაპიტალური ხარჯებზე – 72.9 ათასი ლარი;

სოციალური დაცვისა და სოციალური ღონისძიებების ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,719.2 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ 1,719.2 ათას ლარს, აღებულ იქნა 1,621.4 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 1,621.4 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 1,621.4 ათასი ლარი.

დახმარებები გაეწია: 3, 4, 5, და 6 არასრულწლოვან შვილიან და მარტოხელა დედებს თანხით 259.9 ათასი ლარი, საშუალოდ 4097 ბავშვზე და მარტოხელა დედაზე; ვ. გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოვებულ გარდაცვლილ მეომართა 37 ოჯახს მიეცა დახმარება 8.7 ათასი ლარის ოდენობით. უფასო სასადილოებზე დახარჯულია 249.9 ათასი ლარი, რომლითაც ყოველთვიურად სარგებლობს 850 კაცი. გაცემულია ერთჯერადი დახმარება 1309 ახალშობილზე თანხით 65.5 ათასი ლარი.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე გაცემულია 916.5 ათასი ლარი, მ.შ. საშუალოდ ერთი პენსიონერისაგან შემდგარ 2177 ოჯახზე 575.0 ათასი ლარი, ორი და მეტი პენსიონერისაგან შემდგარ 274 ოჯახზე 115.1 ათასი ლარი, დედ-მამით ობოლ 75 ბავშვზე 19.9 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 356 კაცზე 94.1 ათასი ლარი, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის 183 ბავშვზე 48.4 ათასი ლარი, 4 მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი 1.6 ათასი ლარი, ლტოლვილ და იძულებით გადადგილებულ ერთი პენსიონერისაგან შემდგარ 121 ოჯახზე 32.0 ათასი ლარი, 2 და მეტი პენსიონერისაგან შემდგარ 10 ოჯახზე 4.2 ათასი ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 14 კაცზე 3.7 ათასი ლარი, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის 29 ბავშვზე 7.8 ათასი ლარი. ფოსტის მომსახურების ხარჯია 14.7 ათასი ლარი.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებაზე გახარჯულია 37.5 ათასი ლარი. 525 პერსონალურ პენსიონერზე მგზავრობის კომპენსაციისათვის გაცემულია 31.5 ათასი ლარი. 72 ობოლ ბავშვზე მგზავრობის კომპენსაციისათვის გაიცა 6.1 ათასი ლარი.

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დამტკიცებული გეგმა 500.0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში დაზუსტდა და შეადგინა 1,130.0 ათასი ლარი, 1,127.9 ათასი ლარის ვალდებულებაზე, წარმოდგენილია დამოწმების დოკუმენტი და გაწეულია საკასო ხარჯიც. დაფარულია 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანება 307.1 ათასი ლარი. გაწეული ხარჯებიდან აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 5 ობიექტს, შეკეთდა ავარიული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები 7 შენობაში, შეკეთდა 69 დაბალსართულიანი შენობის სახურავი;

კეთილმოწყობის ღონისძიებების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2,286.0 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ შეადგინა 2,376.0 ათასი ლარი, აღებულ იქნა 2,364.3 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 2,364. 3 ათასი ლარზე, ხარჯმა შეადგინა 2,364.3 ათასი ლარი, რესურსმა 11.7 ათასი ლარი. მ.შ. გზების მოვლა-შეკეთებაზე დახარჯულია 1,081.3 ათასი ლარი, კაპიტალურად შეკეთებულია 3 ქუჩა, 23 ქუჩას ჩაუტარდა მიმდინარე ორმული შეკეთება. მწვანე ნარგაობათა მოვლაზე 199.1 ათასი ლარი. სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 763.0 ათასი ლარი, მოეწყო და შეკეთდა 14 სპორტული მოედანი, 12 ბაღ-სკვერი, 3 ქუჩაზე შეიცვალა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და საკანალიზაციო კოლექტორები, მოეწყო 5 საყრდენი კედელი.

საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა საზაფხულო სამუშაოებზე დაიხარჯა 171,8 ათასი ლარი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი ბიუჯეტიდან აღებული ვალდებულებების შესაბამისად ყველა ღონისძიება დაფინანსებულია.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონი

რაიონის ბიუჯეტის შემოსავლების 2006 წლის წლიური გეგმა 7,923.8 ათასი ლარი შესრულდა 7,867.1 ათასი ლარით ანუ 99.3%-ით. რაიონის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულება ვალდებულებაზე 7,681.3 ათასი ლარის ოდენობით, დამოწმება წარმოდგენილია 7,630.9 ათას ლარზე, დაფინანსებულია 7,630.9 ათასი ლარით.

რაიონის მმართველობის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 637.7 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 622.3 ათასი ლარით ანუ 97.6%-ით აუთვისებელია 12.3 ათასი ლარი.

რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წლიური გეგმა შეადგენს 1,888.0 ათას ლარს, რომელიც დაფინანსებულია 1,777.7 ათასი ლარით, ანუ 94.2%-ით, აქედან 644,0 ათასი ლარი 21 საბავშვო ბაგა-ბაღში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯია. დაწესებულებებში მთლიანად არის დაფარული კომუნალურ ხარჯებში აღებული ვალდებულებები 433,7 ათასი ლარი. წლის განმავლობაში თითქმის ყველა ბაღში მოწესრიგდა წყლის მრიცხვლები, ელექტროგაყვანილობები, დაიდგა ავტომატები და ჩამრთველ-ამომრთველები, მოწესრიგდა გათბობის სისტემები., რამაც საერთო ჯამში გამოიწვია ეკონომია 59,0 ათასი ლარით,მათ შორის ელექტროენერგიის ხარჯებში 16,5 ათასი ლარი, წყლის ხარჯებში 17,0 ათასი ლარი, გათბობის ხარჯებში 19,9 ათასი ლარი. 21 საბავშვო ბაგა-ბაღში კვებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 500,8 ათასი ლარიდან დახარჯული იქნა 487,6 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებში 16,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 15,4 ათასი ლარი დერატიზაციაა–დეზინსექციის სამუშაოების ჩატარებაზე და მედიკამენტების შეძენაზე. შეძენილი იქნა 10,4 ათასი ლარის სხვადასხავა სახის რბილი ინვენტარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კაპიტალური ხარჯები ათვისებულია 134,8 ათასი ლარის ოდენობით. აქედან თითქმის ყველა ბაღში შეძენილია 34,1 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. გარდა ამისა ჩაუტარდათ 100,7 ათასი ლარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. დაფარულია 2005 წელს წარმოშობილი დავალიანება 47.0 ათასი ლარი და 2007 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებები არ ირიცხება.

რაიონის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებში 2006 წლის გეგმით გათვალისწინებული 1,458.4 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებულია 1,303.5 ათასი ლარით ანუ 94,2%-ით. 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დავალიანება არ ერიცხებათ.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ფინანსური დახმარება გეგმით გათვალისწინებული 190.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 95.3 %- ით, ფაქტიურად გაცემულია 181.0 ათასი ლარის ასიგნება. მათ შორის: რაიონში აღრიცხულ 3, 3, 5, და 6 არასრულწლოვანშვილიან 804 ოჯახზე (2595 ბავშვზე) და მარტოხელა დედათა 321 ოჯახზე (361 ბავშვზე) გაცემულია მუნიციპალური დახმარება 178.3 ათასი ლარი. (გეგმა 186.0 ათასი ლარი). ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული დახმარება 4.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 2.7 ათასი ლარით ანუ 67.5%-ით, ე.ი. 1.3 ათასი ლარის ნაკლებობით.

2006 წლის ბიუჯეტით სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვა პროგრამებთან ერთად გათვალისწინებული უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოებში კვებით უზრუნველყოფისათვის რაიონში ფუნქციონირებს 3 კვების ბლოკი, სადაც იკვებება 1605 მოქალაქე. ასევე უფასოდ იკვებება 87 ბავშვი. ამ მიზნით წლიური გეგმით გათვალისწინებული 515.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 499.7 ათასი ლარით ანუ 97.0%.-ით.

რაიონის ბიუჯეტიდან დახმარებები გაიცემა თბილისში მუდმივად მცხოვრები მშობლების თითოეულ ახალშობილზე 50 ლარის ოდენობით. ამ მიზნით 2006 წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 50.0 ათასი ლარიდან გაცემულია 831 ბავშვზე 41.6 ათასი ლარი.

სოციალური დახმარება გაცემულია უმწეო მდგომარეობაში მყოფ 1642 პიროვნებაზე 504.7 ათასი ლარი, (დაზუსტებული გეგმა - 526.3 ათასი ლარი, შესრულდა 92.4%-ით). აგვისტოს თვიდან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ამოქმედებამ გავლენა იქონია საოჯახო დახმარების მიმღებთა კონტიგენტის შემცირებაზე და ყოველთვიური გასაცემი თანხა შემცირდა დაახლოებით 10.0 ათასი ლარით. სოციალური დახმარება გაცემულია: მარტოხელა პენსიონერთა ერთსულიან 870 ოჯახზე, ორი და მეტსულიან პენსიონერთა 90 ოჯახზე - 192 წევრზე, 28 დედ-მამით ობოლ ბავშვზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირველი ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 290 პიროვნებაზე, 16 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 136 ბავშვზე, მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი 3 ოჯახზე 21 წევრით, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე (105 ოჯახი იგივე კატეგორიებზე). გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურეობის თანხები ომის ვეტერანთა 53 ოჯახზე, თანხით 18.4 ათასი ლარი და დევნილთა გარდაცვალების დაკრძალვის ხარჯები თანხით 1,1 ათასი ლარი, სულ 19.5 ათასი ლარი.

სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებებიდან 2006 წლის განმავლობაში პერსონალურ პენსიონერთა მეტროთი მგზავრობის კომპენსაცია გაცემულია 19.5 ათასი ლარი (გეგმა 27.0 ათასი ლარი). მთლიანად დაფინანსებულია 27 ობოლ (უდედმამო) ბავშვთა მგზავრობის კომპენსაცია 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

ავარიული საბინაო ფონდის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებზე 2006 წლის გეგმა განისაზღვრა 1,130.0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულების შესაბამისად დაფინანსება შეადგენს 1,113.0 ათას ლარს (98,5%), 2006 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი დავალიანება 277.2 ათასი ლარი, მთლიანად დაფარულია.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2006 წლის დამტკიცებული გეგმა 2,163.5 ათასი ლარი დაზუსტებულია და დაზუსტების შემდეგ გეგმა განისაზღვრა 2,391.5 ათასი ლარით, რომელიც შესრულდა – 2,382.1 ათასი ლარით ანუ 99.6%-ით. მათ შორის:

გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოების დაფინანსება შეადგენს – 853.4 ათას ლარს. (გეგმა 853.5 ათასი ლარი) ფაქტიური შესრულება 853.4 ათას ლარს. 2006 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი იყო დავალიანება - 63,6 ათასი ლარი, რომელიც დაფარულია. მწვანე ნარგაობათა მოვლის ხაზით დაფინანსებულია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები 579.9 ათას ლარის ოდენობით, (გეგმა 580.0 ათასი ლარი). 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანება ირიცხებოდა 33.9 ათასი ლარი, რომელიც დაფარულია.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებებიდან გაწეულია ძირითადად შემდეგი ხარჯები: 18 დეკორატიული შადრევნის და სასმელი წყლის სოკოს წყლის ხარჯი 64.5 ათასი ლარი, შადრევან-აუზების ელექტროენერგიის ხარჯი 70.8 ათასი ლარი, შადრევან-აუზების ექსპლოატაციაზე 188.0 ათასი ლარი, ავარიული საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრება 159.3 ათასი ლარი, ბაღების და სკვერების რეაბილიტაცია 25.0 ათასი ლარი, სკვერების მოწყობა ზემო ფონიჭალაში 43.0 ათასი ლარი და სხვა. დაიფარა 2005 წლის დავალიანება 82.8 ათასი ლარის ოდენობით.

საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების პირველი სართულის კეთილმოწყობის ხარჯები დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 184.3 ათასი ლარი, შესრულდა 181.1 ათასი ლარით ანუ 98.3%-ით.

გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან დაფინანსებულია 23.1 ათასი ლარის სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

წლის განმავლობაში ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამისათვის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 200.0 ათასი ლარით, რომელიც დაფინანსებულია 197.8 ათასი ლარით (98.9%).

საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისათვის გაზრდილი გეგმა 213.2 ათასი ლარი, დაფინანსებულია 194.8 ათასი ლარით. დაფინანსებულია საზაფხულო სამუშაოებში მონაწილე ყველა სტუდენტი.

ვაკე-საბურთალოს რაიონი

რაიონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 2006 წლის დაზუსტებული გეგმა 8,282.0 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია - 8,044.3 ათასი ლარით, ანუ 97.1 %-ით. რაიონის 2006 წლის ბიუჯეტის ხარჯების დაზუსტებული გეგმა 8,282.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 8,044.0 ათასი ლარით ანუ 97.1%-ით.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა 658.9 ათასი ლარი დაფინანსებულია 644.7 ათასი ლარით ანუ 97,9 %-ით, მათ შორის გამგეობის აპარატის ხარჯების გეგმა 595.7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 582,9 ათასი ლარით და სამხედრო განყოფილების ხარჯების გეგმა 63.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 61.8 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის 2006 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული 2,425.3 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 2,306.2 ათასი ლარი ანუ 95,1%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 770.5 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები – 154.1 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 1,278.6 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯები- 67,7 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯები – 422,4 ათასი ლარი, კვების ხარჯები – 736,7 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა – 34,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 17,6 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯები – 103,1 ათასი ლარი.

სოციალური ღონისძიებების ხარჯების წლიური დამტკიცებული გეგმა 2,215.3 ათასი ლარი დაზუსტდა 2,127.7 ათასი ლარით, დაფინანსებულია 2,039.8 ათასი ლარით ანუ 95,9%-ით. დახმარებები სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე დაფინანსებულია 365.6 ათასი ლარით. დახმარებები გაიცა 5902 მრავალშვილიან და მარტოხელა დედაზე – 351.8 ათასი ლარი. ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარებები გაიცა 57 ოჯახზე – 13.9 ათასი ლარი. დახმარება ყოველ ახალშობილზე გეგმა 124,7 ათასი ლარი დაფინანსებულია 106.7 ათასი ლარით. დახმარება 50 ლარის ოდენობით გაიცა 2135 ახალშობილისთვის.

უფასო სასადილოების გეგმა 284.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 284.2 ათასი ლარით. რაიონში ფუნქციონირებს ოთხი უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება 1090 კაცს.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 1,151.3 ათასი ლარი, დაფინანსებულია 1,108.2 ათასი ლარით. მათ შორის: ერთსულიან მარტოხელა პენსიონერთა 2150 ოჯახზე გაიცა 606.2 ათასი ლარი, 2 და მეტსულიან 570 ოჯახზე – 117.7 ათასი ლარი. დედ-მამით ობოლ ბავშვებზე – 23.6 ათასი ლარი. 18 წლამდე ინვალიდ ბავშვებზე – 1,50.5 ათასი ლარი. დევნილებზე – 57.3 ათასი ლარი.

სხვა სოციალური ღონისძიებების ხარჯების გეგმა 193.3 ათასი ლარი დაფინანსებულია 175.1 ათასი ლარით. მათ შორის: სოციალურ საკითხებზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 29.3 ათ. ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები - 5.8 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე - 8.8 ათასი ლარი. (საკანცელარიო ნივთების შეძენა, კომპიუტერის აქსესუარები)

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება გაეწია 148 ოჯახს – 52.1 ათ. ლარი, პერსონალურ პენსიონერთა მგზავრობის კომპენსაცია 73.9 ათასი ლარი გაიცა 1268 პენსიონერზე, 60 ობოლ ბავშვზე – 5.2 ათასი ლარი.

რაიონის ბიუჯეტიდან სახელმწიფო სოციალური დახმარებები გაცემულია სრულად.

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების წლიური გეგმა 671.7 ათასი ლარი დაფინანსებულია 668.0 ათასი ლარით, ანუ 99,6 %-ით. აღდგენა- გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 13 ობიექტს. ავარიული საბინაო ფონდის გასული წლის დავალიანების დასაფარავად მიიმართა 95.1

ათასი ლარი, ექსპერტიზისათვის - 2.7 ათასი ლარი, ლიფტების შეკეთება-ექსპლუატაცია- 12.0 ათასი ლარი. საბინაო ფონდს დაემატა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შეკეთება 230,0 ათასი ლარი, რაც დაფინანსებულია 229,8 ათასი ლარით.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის მიმართულია 2,081.3 ათასი ლარი, რაც გეგმის – 2,086.0 ათასი ლარის 99,8 %-ია. საგზაო სამუშაოების წლიური გეგმა 642.6 ათასი ლარი დაფინანსებულია 100 %-ით. (ჩატარდა ასფალტ-ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება, ბიტუმის მოსხმა ორმოს ნაწიბურებზე, ღორღის ფუძის მოწყობა შემდეგ ობიექტებზე – დოლიძის ქუჩა, ბულაჩაურის ქუჩა, აბაშიძის, და ა.შ.) მწვანე ნარგავების მოვლის გეგმა 330.0 ათასი ლარი დაფინანსებულია სრულად.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებული 626.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 625.9 ათასი ლარით. ხარჯები გაწეულია გამგეობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიებებზე. მ.შ. სკვერების კეთილმოწყობა; სანიაღვრე ქსელის მოწყობა, მრგვალი ბაღის რეკონსტრუქცია, ავარიული ხეების მოჭრა და სხვა.

კეთილმოწყობის ღონისძიებებს დაემატა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების I სართულის კეთილმოწყობის ხარჯები – 350.0 ათასი ლარის ოდენობით. შესრულებული სამუშაოები დაფინანსებულია 346,2 ათასი ლარით.

მიწისძვრით დაზარალებულთა საცხოვრებელი შენობის მომსახურების ხარჯი დაფინანსებულია 50.0 ათასი ლარით (ჯიქიას ქ №.18 შენობის, სადაც განთავსებულია 80 ოჯახი 300 სულით, მოვლა პატრონობისათვის, შეკეთება, გადახურვა, ლიფტის შეკეთა, ნარჩენების გატანა).

გაუთვალისწინებელი ხარჯები დაფინანსებულია 38,5 ათასი ლარით. მათ შორის: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, მაჟორიტარი დეპუტატის საწვავი, „ყურძნის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებასთან დაკავშირებით საწვავის, ბანკის მომსახურების პროცენტი და სხვა.

საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისათვის გეგმა – 241.9 ათასი ლარი დაფინანსებულია 215.6 ათასი ლარით, მათ შორის ხელფასი – 179.7 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები – 35.9 ათასი ლარი.

ისანი-სამგორის რაიონი

ისანი-სამგორის რაიონის ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილი 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 11,184.9 ათასი ლარის ოდენობით. წლიური გეგმა დაზუსტდა და განისაზღვრა 11,616.1 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 11,373.3 ათასი ლარი, ხოლო ხარჯებმა 11,379.2 ლარი ლარი.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების დაზუსტებული გეგმა 822.8 ათასი ლარი ფაქტიურად შესრულდა 776.3 ათასი ლარით. აქედან გამგეობის აპარატის შენახვაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 748.4 ათასი ლარი დაფინანსებული იქნა 712.3 ათასი ლარით, საიდანაც გამგეობის შენობის კაპრემონტზე მიმართულია 58.2 ათასი ლარი, ხოლო ინვენტარის შეძენაზე 37.7 ათასი ლარი.

რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაზუსტებული გეგმა 4,141.0 ათასი ლარი ფაქტიურად დაფინანსდა 3,962.4 ათასი ლარით, საიდანაც 1,256.9 ათასი ლარი 47 საბავშვო ბაგა-ბაღში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯია. მთლიანად არის დაფარული ელექტრო ენერგიასა და წყლის ხარჯებში აღებული ვალდებულებები, შესაბამისად თანხით 178.8 ათასი ლარი და 207.3 ათასი ლარის ოდენობით. ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯებმა ფაქტიურად შეადგინა 174.5 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსებულ იქნა 173.7 ათასი ლარი. კვების ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულია 48 საბავშვო ბაგა-ბაღზე და ამ მიზნით გეგმიური 1,286.2 ათასი ლარიდან გახარჯული იქნა 1,282.4 ათასი ლარი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების კაპიტალური შეკეთებაზე გახარჯულია 326.1 ათასი ლარი, შეკეთდა 30 საბავშვო ბაგა-ბაღი.

რაიონის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახარჯულია 2,228.3 ათასი ლარი, მათ შორის: მრავალშვილიან ოჯახებზე მუნიციპალური დახმარების სახით გაცემულია 543.8 ათასი ლარი – 8970 ბავშვზე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურ დახმარებებზე დაიხარჯა 999.2 ათასი ლარი; გორგასალის I, II, III ხარისხის ორდენით დაჯილდოვებულ გარდაცვლილ მეომართა 58 ოჯახზე – 14.9 ათასი ლარი, ხოლო უფასო სასადილოში სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა კვებაზე – 403.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, ახალშობილთა დახმარებაზე მიმართულია 155.0 ათასი ლარი – 3100 ახალშობილზე. გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებებზე– 50.4 ათასი ლარი, სოციალურ საკითხებზე დასაქმებულ მუშაკთა შენახვაზე კი 48.4 ათასი ლარი.

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებაზე 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული 600.0 ათასი ლარიდან 1 იანვრისათვის დარჩენილი დავალიანების დასაფარავად მიმართული იყო 583.1 ათასი ლარი, ხოლო 16.9 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდა III მასივის I კვარტალის ბ კორპუსზე, რაც ფაქტიურად დაფინანსებულ იქნა სრულად.

კეთილმოწყობის ღონისძიებები გაიზარდა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების I სართულების კეთილმოწყობის ხარჯებით 450.0 ათასი ლარის ოდენობით. შესრულებულია 404.4 ათასი ლარის სამუშაოები, რაც დაფინანსებულია მთლიანად.

სულ კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 2,885.8 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია, მათ შორის: მთლიანად იქნა დაფინანსებული გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დავალიანება 6.2 ათასი ლარი და შესრულებული სამუშაოს ღირებულება 975.0 ათასი ლარი, გამწვანების სამუშაოებზე დაიხარჯა 510.0 ათასი ლარი, საიდანაც 13.8 ათასი ლარი დაფარული დავალიანებაა. 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დავალიანებად რჩება შპს „გამწვანება ისანის“ შესრულებული სამუშაოს ღირებულება თანხით 25.2 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სხვადასხვა ხარჯების ღონისძიებები დაფინანსებულია 949.0 ათასი ლარით, საიდანაც კეთილმოწყობის სხვადასხვა ხარჯების დავალიანება დაფარულ იქნა 143.9 ათასი ლარის ოდენობით.

საზაფხულო სამუშაო სტუდენტებისათვის გეგმა 225.5 ათასი ლარი დაფინანსებულია 224.7 ათასი ლარით, მათ შორის ხელფასი 187.2 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხები 37.4 ათასი ლარი.

დაბა წყნეთი

წყნეთის 2006 წლის შემოსავლების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა შეადგენს – 632.0 ათას ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა – 555.7 ათასი ლარი.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები დაზუსტებული გეგმით შეადგენს – 219.7 ლარს, ფაქტიურად შესრულდა – 208.7 ათასი ლარით. მმართველობის სხვა ხარჯების მუხლი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა – 3.0 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი – 2.7 ათასი ლარი. მმართველობის კაპიტალური ხარჯების დაზუსტებულმა გეგმა 32.5 ათასი ლარი მთლიანად ათვისებულია, საიდანაც გამგეობისთვის ავტომანქანის შეძენას მოხმარდა 15.0 ათასი ლარი, ინვენტარის შეძენას – 17.5 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის გეგმით გათვალისწინებული – 79.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 72.9 ათასი ლარი. კერძოდ, 114-ე ბ/ბაღის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების ანაზღაურებისთვის გაიცა – 20.7 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხებისთვის – 4.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის – 2.0 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯებისთვის – 12.1 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის შეძენისთვის – 2.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯებში სულ – 1.4 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯი შეადგენს - 12.3 ათას ლარს, მათ შორის - ბ/ბაღის შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯი შეადგენს 9.9 ათას ლარს, საოფისე ინვენტარის ხარჯი – 2.4 ათას ლარს. ბავშვთა კვებაზე გაიხარჯა 18.0 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ხარჯები დაზუსტებული განსაზღვრული იყო გეგმით 86.2 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 56.5 ათასი ლარი. დახმარებები გაეწია: 3, 4, 5 და 6 მრავალშვილიან ოჯახებს 30.9 ათასი ლარი რომელიც მოხმარდა 50 ადგილობრივ და 54 იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 20.3 ათასი ლარი. ვახტანგ გორგასლის I, II, III, ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული იყო 3.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 2.4 ათასი ლარი.

უფასო სასადილოებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო – 25.0 ათასი ლარი, ვინაიდან ვერ მოიძებნა ფართი, რომელიც დააკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, სასადილოები არ ფუნქციონირებდა. ყოველ ახალშობილზე დაზუსტებული გეგმით – 4.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 4.0 ათასი ლარი, დახმარება გაწეულ იქნა 80 ახალშობილზე.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარება დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 42.3 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 28.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა: ადგილობრივი მოსახლეობის მარტოხელა არამომუშავე 32 პენსიონერს, დედმამით ობოლ 1 ბავშვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1ჯგუფის არამომუშავე 12 უსინათლო პენსიონერს, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 7 ბავშვს. დევნილი მოსახლეობის მარტოხელა არამომუშავე 39 პენსიონერს, დედმამით ობოლ 3 ბავშვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I ჯგუფის არამომუშავე 7 უსინათლო პენსიონერს, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 7 ბავშვს.

კეთილმოწყობის ხარჯები 2006 წლის დაზუსტებული გეგმით – 227.7 ათასი ლარს შეადგენდა. ფაქტიურად გაიხარჯა – 203.1 ათასი ლარი. მათ შორის:

გზების მოვლა-შეკეთებაზე – ფაქტიური ხარჯი შეადგენდა – 140.7 ათასი ლარს (გეგმა 140.8 ათას ლარი). მათ შორის: საგზაო სარკეების დამონტაჟების ხარჯი - 5.8 ლარს, დაბის შიდა ქუჩების გზის საფარის 4 729 კვმ ფართის საორმო სამუშაოებზე – 140.8 ათასი ლარი (ლესელიძის ქ - 300 კვმ, თევდორე მღვდლის ქ - 650 კვმ, ქეთევან წამებულის ქ - 200 კვმ, სულხან საბას ქ. - 200 კვმ, 9 აპრილის ქ - 499 კვმ, ჯავახიშვილის ქ - 200 კვმ, გრიშაშვილის ქ. - 650 კვმ, ჭავჭავაძის ზონა - 499 კვმ, თამარ მეფის ქ - 375 კვმ, ჭავჭავაძის ქ - 349 კვმ, ახალდაბის ქ - 200 კვმ, სტალინის ქ - 507 კვმ).

სხვადასხვა კეთილმოწყობის ხარჯების დაზუსტებული გეგმის – 56.9 ათასი ლარის, ფაქტიური ხარჯი შეადგენს – 32.9 ათას ლარს, რომელიც მოხმარდა: სანიაღვრე არხის გაწმენდას – 8.1 ათასი ლარი, სკვერების და დაბა წყნეთის შემოსასვლელის გარე განათების მოწყობას – 15.0 ათასი ლარი, დაბა წყნეთის შემოსასვლელში ნიშნულის შესყიდვას და დამონტაჟების ხარჯებს – 9.7 ათასი ლარი.

გაუთვალისწინებელი ხარჯები - 18.9 ათასი ლარი, ფაქტიურად მთლიანად გაიხარჯა სხვადასხვა ღონისძიებებისათვის.

РЕДАქცია 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

ქ. თბილისის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემების მიხედვით 2006 წლის 1 იანვრისათვის კრედიტორული დავალიანებები შეადგენდა 20,330.2 ათასი ლარს, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების 17,398.3 ათასი ლარი, რაიონულ ბიუჯეტების – 2,931.9 ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანებების ნაწილის დასაფარავად თანხები გათვალისწინებული იქნა ქ. თბილისის 2006 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში და ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, დაიფარა 12,474.8 ათასი ლარის დავალიანებები. ამასთან 2006 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამსახურის მიხედვით კრედიტორული დავალიანებების მაჩვენებლების დაზუსტება და საბოლოოდ 2007 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 7,456.7 ათასი ლარი, მათ შორის: წინა წლების დავალიანებებია 7,106.8 ათასი ლარი და 2006 წელს წარმოქმნილი დავალიანებები - 349.9 ათასი ლარი, აქედან კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის – 159.7 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების კომუნალური ხარჯები 152.1 ათასი ლარი, ჯანდაცვის პროგრამებიდან - 16.7 ათასი ლარი და სხვა.

2006 წლის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტიდან ხარჯების დაფინანსება ხორციელდებოდა „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი მმართველობის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად. ახალი ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვამ პრაქტიკულად გამორიცხა ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებაში ადრე არსებულ ნაკლოვანებები, კერძოდ ხარჯების გაწევა ხდებოდა ვალდებულებისა და დამოწმების დოკუმენტების მიხედვით, საფინანსო ორგანოში ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ამასთან, საფინანსო საქალაქო სამსახურში შემუშავებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი ქ. თბილისის 2006 წლის წლიური ანგარიში.

ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია შესაბამისად დანართი 1-24-ში.

ქ. თბილისის მერიის საფინანსო
საქალაქო სამსახურის უფროსი
პაპუნა პეტრიაშვილი

„კლასიკოსთაგან“ თავი გამოიჩინეს მანუჩარ კვირკველიამ (74ძ და რამაზ ნოზაძემ (96ძ, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ

№ 72-77. სამშაბათი. 24 აპრილი. 2007 წელი.

◎ ჭიდაობა

ფალავნებმა გაგვახარეს

გულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დამთავრდა გერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ფალავნებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი ათლეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ორ-ორი ოქრო-ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

„კლასიკოსთაგან“ თავი გამოიჩინეს მანუჩარ კვირკველიამ (74ძ და რამაზ ნოზაძემ (96ძ, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.



თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან გამოირჩა გელა სალი-

რაშვილი (74ძ. იგი უპროblemოდ მივიდა ფინალამდე – გზიდან ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ჩამოიცილა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი მახაჩ მურთაზალევთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მხოლოდ „ბრინჯაოს“ გამორჩა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გიორგი გოგშელიძე (96ძ, რომელიც 2006 წელსაც ევროპაში მესამე იყო. მსგავს წარმატებას მიაღწია მძიმე წონაში ლექსო მოდებაძემ.

ქართველი მოჭიდავეები კვლავაც განაგრძობენ ინტენსიურ მზადებას, რათა შემოდგომით ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატზე მედლებთან ერთად პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები დაიმსახურონ.

◎ ფეხბურთი

მხოლოდ შედეგები

XVIII ეროვნული ჩემპიონატი. XXI ტური. „ოლიმპი“ – „ჩიხურა“ 5:0, „ლოკომოტივი“ – „დინამო“ 0:3, „კახეთი„ – „ამერი“ 1:7, „ზესტაფონი“ – „დილა“ 4:1, „ვიტ ჯორჯია“ – „ბორჯომი“ 0:0, „სიონი“ – „ტორპედო“ 1:0, „მერანი“ – „ბათუმი“ 1:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ოლიმპი“ – 52, „დინამო“ – 49, „ამერი“, „ზესტაფონი“ – 46-46 ქულა.

ბომბარდირი: იაშვილი („დინამო“ ძ – 14 გოლი.

27 აპრილს ითამაშებენ: „ბათუმი“ – „ოლიმპი“, „დინამო“ – „მერანი“, „ამერი“ – „ზესტაფონი“, –„ჩიხურა“ – „ვიტ ჯორჯია“, „ბორჯომი“ – „სიონი“, „ტორპედო“ – „კახეთი“, „დილა“ – „ლოკომოტივი“.

◎ ჩემპიონთა ლიგა

დღეს ომსაჯებს

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩებზე – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ მილანი“ , რომელიც დღეს, 24 აპრილს უნდა გაიმართოს უეფამ მსაჯად დანიშნა გერძენი კიროს ვასარასი.

◎ კალათბურთი

მოკლედ



სუპერლიგის მეოთხე ნახევარფინალისტი რეგულარული სეზონის გოლო ტურმა დაასახელა. ესაა თბილისის „დინამო“, რომელმაც XVI ეროვნული ჩემპიონატის მაჩანჩალა „მაკაბი“ დაამარცხა – 97:84. V წრის ფინიშზე კიდევ ორი მატჩი გაიმართა: „აზოტი“ – სტუ 115:84, თსუ – „ავიამშენი“ 108:95.

ამრიგად, „პლეი–ოფში“ 3 მოგებამდე მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: „აზოტი“ – „დინამო“, „ავიამშენი“ – თსუ. მათი ბრძოლები 5 მაისს დაიწყება.

◎ ჩოგბურთი

ელიტის კარიბჭესთან

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა მავრიკის კუნძულებზე წარმატებით იასპარეზა ევრო-აფრიკული ზონის II ჯგუფში. ჩვენმა გუნდმა (მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკა გორგოძე, სოფიკო ძვაცაგაია, კაპიტანი ლალი ზერეკიძე, პორტუგალიელებთან მარცხის მიუხედავად, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და სამხრეთ აფრიკას დაუპირისპირდა. ქართველებმა აქაც იყოჩალეს, მეტოქე 2:1 დაამარცხეს და პირველი ზონის საგზური მოიპოვეს. გაისად ელიტაში აღსაზევებლად ერთი ნაბიჯი რჩება.



განჩინება

პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

20 აპრილი 2007 წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვანო წიკლაურმა ერთპიროვნულად განიხილა მოსარჩელე ლალი გვასალიას წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის შუამდგომლობა პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების თაობაზე.

გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია მოსარჩელე ლალი გვასალიას წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის სარჩელი მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

სარჩელში მითითებულია მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი ქ. თბილისი ბარამიძის ქ. №7. აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი უწყება დაბრუნდა შეტყობინებით, რომ მოპასუხე ქ. თბილისი, ბარამიძის ქ. №7-ში აღარ ცხოვრობს, მისთვის უცნობია მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ანდა გამოაქვს განჩინება პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, მას უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოებისა და სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ საჯარო შეტყობინებით პუბლიკაციის მეშვეობით. მოსარჩელის წარმომადგენელი მ. სარჯველაძე თანახმაა მოსარჩელე მხარის ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებითა და

დაადგინა:

1. ლალი გვასალიას წარმომადგენლის მიხეილ სარჯველაძის სარჩელის გამო სამოქალაქო საქმეზე №2/1038-07 მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილის მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაინიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა 2007 წლის 25 მაისს, 10 სთ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1ქ.

2. ეცნობოს მოპასუხე მარიამ ბოჭორიშვილს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები, იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნებს სარჩელი დაკმაყოფილდება. წინაალმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

3. განჩინების გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს.

4. განჩინება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადების დაფაზე.

5. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში.

6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე: ვ. წიკლაური

გახსენება

კარლო თიკარაძე



საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოებას გამოაკლდა თვალსაჩინო სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ ძვესადგურების ტექნოლოგიური პროექტირების განყოფილების უფროსი ბატონი კარლო თიკარაძე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბატონი კარლო მოღვაწეობდა შპს „ენერგოქსელპროექტში“. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ენერგოსისტემის განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ქვეყნისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი 220-500 კვ ქვესადგურების პროექტები, როგორიცაა ზესტაფონი, ქსანი, მენჯი, ბათუმი, ლისი და სხვა, აგრეთვე მცირე სიმძლავრის ჰესები. ბატონი კარლო, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინერი, 1968-1972 წლებში და 1978-1981 წლებში მივლინებული იყო და ნაყოფიერად მუშაობდა საზღვარგარეთ – ეგვიპტესა და ერაყში.

მზრუნველი და მომთხოვნი პედაგოგის, სამაგალითო მეუღლის, მამის, ბაბუისა და მეგობრის თვისებები საოცრად იყო შერწყმული მის პიროვნებაში.

ბატონ კარლოს მადლიერებით, სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობის გედნიერება.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ეს ენერგიული, სიცოცხლის სიყვარულითა და სიკეთით სავსე კაცი აღარ იძნება ჩვენს შორის.

შპს „ენერგოქსელპროექტი“

მეუღლე გული კუჭუხიძე, შვილები ძეთინო, დათო, შვილიშვილები, თამუნა, შალვა, ლაშა, ლელი, დეგი ლილი, ცინცინო, ძმა ჯეირანი, ცოლისდა მარინა, დისწულები, დარეჯანი, რუსუდანი, ნანა, მაია, ზურიკო, ნინო, ძმისწულები ირმა, ინგა, მინდია, რძლები ლია ზარნაძე, მზევინარ ძათამაძე, ნანი ჭანტურიძე, მზია სირაძე, ჟეკო აბაშიძე, სიძეები ვიტალი მიქიაშვილი, ჟორა ღავთაძე, გიული ვაჭარაძე, ზურა კერესელიძე, ელიკ ალიევი, ცოლისძმისწული თამთა კუჭუხიძე, ცოლის დისწული ბაჩი გურეშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან (ზიპოქ გრიგოლის ძე ზიგზიგაძე

პანაშვიდი 24, 25 IV. დაკრძალვა 26 IV, ზესტაფონი 15 სთ. ჯორჯაძის ქ. №8.

გონდო, ვასო და კოტე სამუშაოების ოჯახები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ზაურ ჯინჯოლავას მამის ვალიკო იოსების ძე ჯინჯოლავას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 72-77. სამშაბათი, 24 აპრილი, 2007 წელი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

აცხადებს აუქციონს

ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.

დასახელება	წონა ტ	რაოდენობა ც	საწყისი ღირებულება დოლარი	ბიჯი
დენთი PCИ-12K	145	3482	40	5

გამყიდველის სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც **„დელტას“** მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილეობის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2007 წლის 25 აპრილიდან 2007 წლის 25 მაისის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი **„დელტა“**, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 28 მაისს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

— ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

— იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 95 28 28

მის. ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

„დრო, დრო აღინიშნე!“

მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი გივი ვახტანგაძე

1966 წელია. ყველა გზა საქართველოსკენ მოდის. ვზეიმობთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი გადასწვდა პლანეტის სიგრძეგანედებს. ღირსეულ სტუმარ-მასპინძელთა შორისაა ორი დიდი ქართველი კონსტანტინე გამსახურდია და ივანე ბერიტაშვილი.

სს „პერლიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს განცხადება

2007 წლის 23 მაისს სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა 2006 წლის შედეგების შესახებ;
2. გენერალური დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2006 სამეურნეო წელზე;
3. საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ;
4. წესდებაში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების შესახებ;
5. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების შესახებ.

კრება ჩატარდება სს „პერლიტის“ იურიდიულ მისამართზე: რუსთავი, მარინის არხი 174, დღის 12 საათზე.

სამეთვალყურეო საბჭო

განცხადება

სს „ბორჯომის №1 ჩამოსასხმელი ქარხნის“ დირექტორი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2007 წლის 11 მაისს, 13 საათზე, ქ. ბორჯომი, თორის ქ. №39.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო და საფინანსო შედეგების განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
3. აუდიტორის არჩევა;
4. სხვადასხვა.

სამეთვარყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 27 მარტი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2007 წლის 27 მარტის მდგომარეობით, რაც დასტურდება საერთო კრებაზე რეგისტრატორის მიერ წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემებით, და რომლებიც საერთო კრებაზე წარმოადგენენ პირადობის მოწმობას.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარმოდგენილი დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას უწევენ დღის წესრიგის საკითხების განხილვას და დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლების შემოწმება შეუძლიათ სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ რეგისტრატორთან შპს „რეგისტრთან“, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74 ა.

სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ დირექტორი
ლევან ლომსაძე

ანეკდოტები

ივან ივანიჩი ემიგრაციაში მიდის.

— სერ, აქ რა გიწერიათ? — ეკითხებიან საკონსულოში.

— სად?

— აი, ამ გრაფაში: „ქვეყნიდან გასვლის მიზეზი“.

— ღვიძლის დაავადება...

— მაგრამ რა შუაშია აქ ღვიძლი?

— ფხიზელი გონებით რუსეთში ვერ იცხოვრებ, ღვიძლი კი მტკივა...

* * *

ავტომოყვარული გონს საავადმყოფოს პალატაში მოეგო. ყურადღებით დააკვირდა მეზობელ საწოლში მწოლიარეს და გაკვირვებულს აღმოხდა:

— ჩვენ, მგონი, სადღაც შევხვდით ერთმანეთს, არა?

— რა თქმა უნდა, — გამოტყდა მეზობელი, — ამიტომაც ვართ აქ ორთავენი.

* * *

დროა დასკვნები გავაკეთოთ: საჭეს უკვე უამრავი ქალი უზის, ჩვენ კი, ძველი ჩვეულებით, წესების დამრღვევ მძღოლს „პედერასტს“ ვეძახით.

* * *

არის ადამიანთა კატეგორია, ვინც ლურსმნის ჩაჭედებისას ჩაქუჩს უთუოდ თითზე ირტყამს. სწორედ ასეთებისთვის მოიგონეს შურუპი და სახრახნისი.

განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „ყვარელი 2000“-ის (მდებარე ქ. ყვარელი, მეურნეობის დასახლება, რეგისტრირებული ყვარლის რ-ნის სასამართლოს 1999 წლის 24 თებერვლის №55/4-65 დადგენილებით, საიდენტ. კოდი 24156274I) ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დაუყოვნებლივ მოგვმართოთ ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8 ბ. 75, ტელ. 915 930 (გიაძ.

დირექტორი **გ. ბოსტოღანაშვილი**

გაზეთის დღევანდელი ნომერი ოთხმოცდათექვსმეტგვერდიანია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.